

# პოლიტიკის დოკუმენტების კრებული

აპრილი  
2019



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**ჰოლიტიკის  
ემკუთმენტების  
კრებულნი**

---

**ნაწილი 2019**



**National Endowment  
for Democracy**  
*Supporting freedom around the world*



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასაწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაცია ასევე ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში სახალხო ჩართულობას. 2013 წლის დეკემბრიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა“ და „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ თვალსაზრისს.

**რედაქტორი:** კორნელი კაკაჩია  
**ავტორები:** სალომე მინესაშვილი  
ლევან კახიშვილი  
ბიძინა ლებანიძე  
ნინო რობაქიძე

**გამომცემლობა:** გრიფონი

© Georgian Institute of Politics, 2019

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge

## წინასიტყვაობა

მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა 2000-იანი წლების შუა პერიოდთან მოყოლებული დღემდე, საერთაშორისო თანამეგობრობის უმეტეს ნაწილში რეგრესი განიცადა. საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“<sup>1</sup> (freedom house) კვლევის მიხედვით, გლობალური თავისუფლების მაჩვენებელი მეთორმეტე წელია მცირდება. დემოკრატიის რეგრესი პოპულიზმმა და მასთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა იმ სახელმწიფოებშიც კი გამოიწვია, სადაც მიიჩნეოდნენ, რომ დემოკრატიას ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული.

პოლიტიკური პოპულიზმის მზარდმა ავტორიტარიტარულმა ტენდენციებმა დაასუსტა ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებები და გაზარდა პოპულისტური მოძრაობების რიცხვი მთელ მსოფლიოში. შესაბამისად მოქალაქეებს მკვეთრად შეუმცირდათ ნდობა ტრადიციული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ. ეს უარყოფითი ტენდენციები გამოვლინდა არა მხოლოდ კონსოლიდირებულ დემოკრატიებში, როგორცაა შეერთებული შტატები და ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, არამედ ჰიბრიდული რეჟიმის მქონე ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა.

დემოკრატიული სტაგნაციის გლობალური ტენდენციის ფონზე, საქართველომ, რომელიც რამდენიმე წლის წინ აღმოსავლეთ სამეზობლოში დემოკრატიზაციის საუკეთესო მაგალითად მიიჩნეოდა, ბოლო წლებში

რეგიონის ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად ასევე განიცადა სტაგნაცია<sup>2</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ევროპეიზაციის დღის წესრიგში გარკვეული დავალებების შესრულების თვალსაზრისით წარმატებებს მიაღწია, დემოკრატიის კონსოლიდირებულ ფორმასთან მაინც ვერ მივიდა<sup>3</sup>. ამასთანავე პოლარიზაციასთან და პოპულიზმის ზრდასთან დაკავშირებული არსებული პრობლემები დაემატა იმ პოლიტიკურ გარემოს, რომელიც საქართველოს არაკონსოლიდირებული დემოკრატიისათვის ისედაც არასახარბიელო იყო.

**პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული პოლარიზაციის მაღალი ხარისხი** საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის ძირითად შემაფერხებელ დაბრკოლებად რჩება და სტაბილური პოლიტიკური და პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას უშლის ხელს. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ნდობის კრიზისისა და უკიდურესი ექსტრემალური პოლარიზაციის ნათელი მაგალითი იყო. მაშინ, როდესაც პოლიტიკური კონკურენცია ნებისმიერი მოქმედი დემოკრატიის ნაწილია, საქართველოში მან პლურალიზმის ნაცვლად ნეგატიური პოლარიზაცია გამოიწვია, რასაც თან დაერთო საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვა და ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეებისა და ზოგადად პოლიტიკური ველის ფრაგმენტაცია, რომელიც დღემდე რჩება ძირითად დაბრკოლებად საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების პროცესში. ნეგატიურმა საარჩევნო კამპანიამ, ხისტი პოლიტიკურმა რიტორიკამ და ოპონენტების დემონიზების მცდელობებმა, რაც ახასიათებდა არჩევნებს,

<sup>1</sup> Michael J. Abramowitz, Democracy in Crisis. Available at: <https://freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2018>

<sup>2</sup> Georgia: Key Developments in 2018 Available at: <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2019/georgia>

<sup>3</sup> Eastern Partnership Index 2017. Georgia. P.56 Available at: <https://eap-csf.eu/eastern-partnership-index/#section-fillup-1>



სტრუქტურირებული საარჩევნო პროგრამები-სა და საკითხზე ორიენტირებული დებატებისთვის ადგილი აღარ დატოვა. ამასთანავე, შემცირდა ამომრჩეველთა შესაძლებლობა გაეკეთებინათ ინფორმირებული არჩევანი<sup>4</sup>. ნეგატიურმა წინასაარჩევნო გარემომ შექმნა ნაყოფიერი ნიადაგი პოლიტიკური აპათიისა და მოქალაქეთა ნიჰილიზმისთვის და შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების მიმართ საზოგადოებრივი კეთილგანწყობა შემცირდა. როგორც ბოლოდროინდელმა გამოკვლევამ აჩვენა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ცამეტ პროცენტს სჯერა, რომ პარტიები მოქალაქეთა ინტერესებს წარმოადგენენ<sup>5</sup>.

არსებული ნდობის კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა **მედიის პოლარიზაციით**. უმეტესი წამყვანი მედიასაშუალებები განსაკუთრებით კი ტელევიზიები ან აფილირებულები არიან პოლიტიკურ პარტიებთან ან ათანხმებენ მათ სარედაქციო პოლიტიკას პოლიტიკურ დღის წესრიგთან და ამით ქართული საზოგადოების პოლარიზაციას უწყობენ ხელს. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებმა სატელევიზიო პროგრამებში აგრესიული და ძალადობრივი რიტორიკის მასობრივი გამოყენებას არაერთხელ გაუსვეს ხაზი<sup>6</sup>. გარდა ამისა, წამყვანი მედიასაშუალებები პოლიტიკური ძალების მიერ მართული საარჩევნო კამპანიების ინსტრუმენტები გახდნენ, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მათ მიერ გამოცემული დაუბალანსებელი ინფორმაცია დეზინფორმაციადაა მიჩნეულია საზოგადოების უმეტესი ნაწილის მიერ.

პოლარიზაციის უარყოფით შედეგებს ასევე ვერ გაეცნენ სამოქალაქო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც მანამდე აწუხებდათ საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ არსებული ნდობის სიმწირე. პოლარიზებული და მიკერძოებული მედიასაშუალებები და სამოქალაქო ორგანიზაციები ჩვეულებრივ უფრო მოწყვლადები არიან უარყოფითი ზეგავლენის მიმართ. შესაბამისად მასმედიას და სამოქალაქო სექტორს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ამ პროცესში. მიუხედავად იმისა რომ ხშირად რთულია პოლარიზაციისა და პლურალიზმის გამიჯვნა, მაგრამ ამის მცდელობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიოს პოლარიზაციის პლურალიზმად გადაქცევის პროცესში და შესაბამისად, დემოკრატიული ღირებულებების წახალისებისა და მდგრადი საზოგადოებრივი ნდობის შექმნის პოლიტიკურ პროცესში.

დემოკრატიული სისტემა უპირველეს ყოვლისა დაფუძნებულია სტაბილურ, კონკურენტუნარიან პარტიულ სისტემაზე და ძლიერ, დამოუკიდებელ მედიაზე, რომელიც ხელს უწყობს ამორჩეველების კარგად ინფორმირებას. ამგვარ პარტიულ სისტემას და მედიას შეუძლიათ უზრუნველყონ მთავრობის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. თუმცა, გარემოში, სადაც მთავარი მოქმედი პირები განიცდიან ნდობის კრიზისს, რჩება თავისუფალი სივრცე სხვა მოქმედი პირებისათვის, რომელთაც შეუძლიათ განსხვავებული საზოგადოებრივი აზრი ჩამოაყალიბონ, მათ შორის, რადიკალური ჯგუფებისა და

<sup>4</sup> OSCE/ODIHR International Election Observation Mission. Georgia – Presidential Elections, Second Round. Statement of Preliminary Findings and Conclusions. November, 2018. Available at: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/404642?download=true>

<sup>5</sup> OSCE/ODIHR International Election Observation Mission. Georgia – Presidential Elections, Second Round. Statement of Preliminary Findings and Conclusions. November, 2018. Available at: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/404642?download=true>

<sup>6</sup> OSCE/ODIHR International Election Observation Mission. Georgia – Presidential Elections, Second Round. Statement of Preliminary Findings and Conclusions. November, 2018. Available at: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/404642?download=true>


პოპულისტებისათვის, რომლებიც აცხადებენ რომ „ხალხის სახელით“ მოქმედებენ. ამგვარი რადიკალური ჯგუფები სერიოზული გამოწვევა გახდა დასავლური დემოკრატიებისთვის. მსგავსი ტენდენცია უცხო არაა საქართველოსთვისაც და ნათლად შეიმჩნევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე. მიუხედავად იმისა რომ, რადიკალური პოპულიზმის წარმოშობის პირველადი მიზეზები, ასევე მისი გავლენა შესაძლოა განსხვავებული იყო ევროპასა და საქართველოში, ფაქტია რომ მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების აქტიურობა ერთმნიშვნელოვნად ვნებს როგორც პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას, ასევე დემოკრატიულ ღირებულებებს.

**პოლარიზაციასა და რადიკალიზაციას** მიყვართ ნდობის ნაკლებობასთან არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიებში ან მედიაში, არამედ საკუთრივ ქვეყანაში არსებულ დემოკრატიულ პროცესთან მიმართებაშიც. ამერიკის ეროვნულდემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ბოლო გამოკითხვის მიხედვით, მოქალაქეების მხოლოდ 43 პროცენტს სჯერა, რომ საქართველო არის დემოკრატიული, ხოლო 46 პროცენტს კი არა<sup>7</sup>. ქართული დემოკრატიისადმი რწმენის დეფიციტი 2013 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ დონეზეა, რაც დემოკრატიული პროცესების მიმართ ნდობის აღდგენის აუცილებლობაზე პრაქტიკული, საკითხზე ორიენტირებული პლატფორმების განვითარებისა და ამომრჩეველთა ნდობის ამაღლების საშუალებაზე მიგვანიშნებს. სწორედ ასეთ რთულ გარემოში, „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა“, „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ მხარდაჭერით, პროექტის – „პოლარიზაცია როგორც საქართველოს დემოკრატიული პროცესების

დამაბრკოლებელი ფაქტორი“ ფარგლებში, მოამზადა წინამდებარე პუბლიკაცია.

პუბლიკაცია მოიცავს ოთხ პოლიტიკის დოკუმენტს, რომლებიც პოლარიზაციისა და რადიკალური პოპულიზმთან დაკავშირებული პრობლემებსა და ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას მიმოიხილავენ და ასევე იძლევიან გარკვეულ რეკომენდაციებს ძირითად საკითხებზე. მათ შორის ისეთ საკითხებზე- თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას საზოგადოებაში არსებული ნდობის კრიზისი, როგორ გავუმკლავდეთ რადიკალურ პოპულიზმს და პოლიტიკური პოლარიზაციის ეფექტებს საქართველოში. პუბლიკაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის შემცირების ეფექტზე დემოკრატიული პროცესების მიმართ და მზარდი ნაციონალისტური პოპულიზმის გავლენაზე საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. პუბლიკაცია განკუთვნილია სახელმწიფო მოხელეებისთვის, მასმედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების, ანალიტიკოსების, და საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის, ასევე, ყველა იმ პირისთვის, რომელიც საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში მონაწილეობს და მასთან დაკავშირებული საკითხებით არის დაინტერესებული.

**კორნელი კაკაჩია**



**საქართველოს პოლიტიკის  
ინსტიტუტის დირექტორი**

<sup>7</sup> National-Democratic Institute. Public Opinion Polls. December 2018. Available at: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_Political%20Poll%20Presentation\\_December%202018\\_English\\_Final.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Political%20Poll%20Presentation_December%202018_English_Final.pdf)





ულტრამემარჯვენე პოპულიზმის  
სოციალური  
საფუძვლები საქართველოში

სალომე მინუსაშვილი





## მოკლე შინაარსი

საქართველოსთვის არც პოპულისტური და არც ულტრამემარჯვენე მოძრაობებია ახალი, თუმცა მათი კომბინაცია შედარებით ბოლოდროინდელი ტენდენციაა. 2016 წელს ულტრამემარჯვენე პოპულისტურ პარტიად მიჩნეულმა გაერთიანებამ მოახერხა პარლამენტში ადგილის მოპოვება მაშინ, ბოლო სამი წლის მანძილზე გაცილებით გაიზარდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების ხილვადობა. კვლევა განიხილავს იმას, თუ რამდენად ასახავენ ეს ულტრამემარჯვენე და ნაციონალისტური პოპულისტური ჯგუფები საზოგადოებაში გავრცელებულ სოციალურ ღირებულებებს; და რამდენად იცვლება ის შეხედულებები საზოგადოებაში, რომლებიც ზოგადად მომძლავრებულ ულტრამემარჯვენე პოპულიზმს უკავშირდება. საზოგადოებრივი კვლევების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ქართველი მოსახლეობის ღირებულებები მყარ საფუძველს ქმნის რადიკალური ულტრამემარჯვენე

მოძრაობებისთვის. ზოგიერთი სოციალურ კონსერვატიული ღირებულება ღრმად ფესვგადგმულია საზოგადოებაში და წლების მანძილზე არ იცვლება, თუმცა უფრო შემაშფოთებელია ბოლოდროინდელი ცვლილება: საზოგადოება უფრო მეტი სკეპტიციზმით უყურებს მიგრანტებს, ეს კი ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ გაყდერებული მთავარი საკითხია. ამასთან, მოსახლეობის თვალში უარესდება სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, მცირდება ნდობა პოლიტიკოსების, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და თანამოქალაქეების მიმართ, ეს ფაქტორები კი ხშირად გამოიყენება მომძლავრებული პოპულიზმის ასახვად. მართალია ულტრამემარჯვენე პოპულიზტები ამჟამად საქართველოში მარგინალურ პოზიციებზე რჩებიან, მაგრამ საზოგადოებრივი შეხედულებების ცვლილებასთან ერთად იზრდება მათი მხარდაჭერის მობილიზების პოტენციალი.

## შინაარსი

დასავლეთს ულტრამემარჯვენე, ნაციონალისტური პოპულიზმის ტალღამ გადაუარა, რაც ბრექსიტში, აშშ-ს პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევასა და ევროპაში ულტრამემარჯვენე პარტიების მომძლავრებაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ არც პოპულიზმი და არც ულტრამემარჯვენე მოძრაობები საქართველოსთვის ახალი არაა, ამ ორის კომბინაცია და მათი ლეგიტიმაცია საკანონმდებლო უფლებებით, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ახალ ტენდენციას წარმოადგენს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა, რომელიც ულტრამემარჯვენე პოპულისტურ პარტიად

მოიაზრება, მოახერხა 5%-იანი ზღვარის გადალახვა და საკანონმდებლო ორგანოში ადგილების მოპოვება მაშინ, როდესაც რამდენიმე ლიბერალური პარტია პარლამენტს მიღმა დარჩა. ეს ყველაფერი ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაზრდილი ხილვადობის ფონზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჯგუფების არსებობა საქართველოსთვის ახალი არაა, რადიკალური ულტრაულტრამემარჯვენე მოძრაობები განსაკუთრებით ბოლო სამი წლის განმავლობაში გააქტიურდნენ.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში კვლავ მარგინალურ ჯგუფებად რჩებიან, ისინი თანდათან ვითარდებიან და ნათლად

<sup>1</sup> სალომე მინესაშვილი – საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი.

<sup>2</sup> სიჭინავა, დ. და ტანგიაშვილი, ნ. (2018). ანტიდასავლური დისკურსი ქართულენოვან სოციალურ მედიაში. ინტერვიუ. რადიო თავისუფლება. <https://bit.ly/2MJHFVZ>



წარმოაჩენენ უფრო მეტად გააქტიურების მნიშვნელოვან პოტენციალს.<sup>3</sup>

ულტრამემარჯვენე პოპულიზმის მომძლავრება დაკავშირებულია არაერთ ფაქტორთან, რომელსაც გავლენა აქვს განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებებზე. ფინანსური კრიზისის შემდეგ წარმოქმნილი ეკონომიკური სიდუხჭირე ნაწილობრივ ხსნის რადიკალური პარტიების მიმართ მხარდაჭერის ზრდას, თუმცა ამ ფენომენს ასევე ხსნიან ლიბერალიზმისა და მომძლავრებული სოციალური კონსერვატიზმის საპასუხოდ წარმოქმნილი კულტურული დაპირისპირებით, განსაკუთრებით იმიგრანტების საკითხთან მიმართებაში. სხვები, ამ ფენომენს ზემოთ აღწერილი ორი ფაქტორის გაერთიანებით ხსნიან – ლიბერალური ნორმატიული წესრიგი და ეკონომიკური სიდუხჭირე საზოგადოების ნაწილის

იზოლაციას და მარგინალიზაციას ახდენს. სწორედ საზოგადოების ეს გარიყული წარმომადგენლები არიან ისინი, ვინც რადიკალური პოლიტიკური პარტიების პოტენციური მხარდამჭერები ხდებიან.

ქართული ულტრამემარჯვენე პოპულიზტური პარტიები და მოძრაობები ასევე იყენებენ მიგრანტებისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნებში მოქმედი ულტრამემარჯვენე პოპულიზტური პარტიების მხრიდან გაჟღერებულ არგუმენტებს. საზოგადოებაში მათი ამჟამინდელი მარგინალური პოზიციის მიუხედავად, აქვთ თუ არა ამ ჯგუფებს შესაძლებლობა მოიპოვონ გაზრდილი მხარდაჭერა საქართველოში? რამდენად ასახავენ ისინი საზოგადოების სოციალურ ღირებულებებს და შესაბამისად, რამდენად აქვთ მხარდაჭერის პოტენციური საფუძველი?

## ულტრამემარჯვენე პოპულიზმის დისკუსიის საქართველოში

საქართველოში არსებობს როგორც ზომიერი, ისე ექსტრემალური შეხედულებების მქონე ულტრამემარჯვენე ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა სახის მოთამაშეებს, მათ შორის სოციალურ ქსელებში აქტიურ არაფორმალურ ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებად და პოლიტიკურ პარტიებად დარეგისტრირებულ ინსტიტუციონალიზებულ ჯგუფებს. ამ ჯგუფებს შორის 2016 წლის შემდეგ ყველაზე შესამჩნევია პოლიტიკური პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ქართული მარში – რომელმაც პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების გეგმა დაანონსა – და საქართველოს ეროვნული ერთობა. ქართულმა მარშმა და საქართველოს ეროვნულმა ერთობამ სახელი

თავიანთი ქსენოფობიური და ანტილიბერალური პროტესტებით გაითქვეს. 2017 წლის ივლისში ქართულმა მარშმა ორგანიზება გაუწია მიგრანტების საწინააღმდეგო აქციას თბილისის ცენტრში, აღმაშენებლის ქუჩაზე, რომელიც არაბული, ირანული და თურქული რესტორნებითაა ცნობილი. აქციების დროს, ქართული მარშის 2000-ზე მეტი მხარდამჭერი არალეგალი იმიგრანტების დეპორტაციასა და საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებას ითხოვდა<sup>4</sup>. საქართველოს ეროვნული ერთობა ცნობადი 2018 წლის მაისში გახდა, როდესაც ორგანიზება გაუწია კონტრ-აქციას მთავრობის მიერ ღამის კლუბების დარბევის საწინააღმდეგოდ გამართული პროტესტის საპასუხოდ<sup>5</sup>.

<sup>3</sup> სტეფანი, ა. (2018). ულტრალტრამემარჯვენე პოპულიზტური მოძრაობები: ახალი გამოწვევა საქართველოსთვის. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (5).

<sup>4</sup> Georgians march against “uncontrolled immigration” in Tbilisi. (2017). JAM News. 15 ივლისი 2017. ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/georgians-marched-against-uncontrolled-migration-in-tbilisi-a-photo-story/>

<sup>5</sup> Ultra-nationalist counter rally kicks off in central Tbilisi. (2018). Georgia Today, 13 მაისი 2018. ხელმისაწვდომია: <http://georgiatoday.ge/news/10254/Ultra-Nationalist-Counter-Rally-Kicks-off-in-Central-Tbilisi>

განსხვავებების მიუხედავად, ამ ჯგუფებს მემარჯვენე და რიგ შემთხვევებში პოპულისტური იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი არაერთი საერთო მესიჯი აქვთ. ულტრამემარჯვენე პოპულიზმის მიხედვით ერი აღიქმება როგორც მორალურად უპირატესი ჯგუფი, რომელიც აერთიანებს მოქალაქეებს – „ჩვეულებრივ ადამიანებს“<sup>6</sup>. ეს კი გამოიხატება ელიტებისადმი ვერტიკალურ ოპოზიციიაში და „ჩვეულებრივ ადამიანებსა“ და პოლიტიკურ და ლეგალურ ელიტებს შორის არსებულ განსხვავებებში, ვინაიდან ელიტები დადანიშნულნი არიან საკუთარი ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენებაში. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ელიტები წარმოადგენენ მოგების მაქსიმალურად გაზრდისკენ მიმართულ ჯგუფს, რომელთაც ბრალი ედებათ კორუფციაში, სიხარბეში, მოქალაქეებისთვის კუთვნილი სარგებლის არგაცემასა<sup>7</sup> და ადამიანების გაჭირვებისადმი გულგრილობაში<sup>8</sup>.

ულტრამემარჯვენე ელემენტებთან გაერთიანებას კი ნაციონალისტურ მიდგომამდე მივყავართ. ულტრამემარჯვენე პოპულიზმი დიფერენცირების ჰორიზონტალური და ვერტიკალური განზომილებების გარშემო ერთიანდება<sup>9</sup>. თუმცა, ულტრამემარჯვენე ელემენტი ნაციონალისტური ხასიათის ამ ჯგუფებს ჰორიზონტალური ოპოზიციის კომპონენტით ამდიდრებს<sup>10</sup>. ჰორიზონტალ-

ური გარე ჯგუფების მიმართ ოპოზიციია კი ხშირად არა მხოლოდ ანტიიმიგრატულ<sup>11</sup>, არამედ რელიგიური და სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართულ განწყობებს წარმოშობს. ულტრამემარჯვენე პოპულისტები, როგორც წესი, უპირისპირდებიან მულტიკულტურულ და ლიბერალურ პოლიტიკას<sup>12</sup>. შესაბამისად, თუკი ვერტიკალური გარიცხვა პოპულისტურ განზომილებას წარმოადგენს, ჰორიზონტალური – ულტრამემარჯვენე სოციო-კულტურული რწმენის ჩარჩოებში ჯდება<sup>13</sup>. ამდენად, ულტრამემარჯვენე პოპულიზმი გულისხმობს ხალხის დაცვას ელიტებისა და გარე ჯგუფებისგან. გარკვეულწილად, საქართველოში არსებული ულტრამემარჯვენე ჯგუფებიც სწორედ ამ ნიშნით ხასიათდებიან. ისინი უმთავრესად **ნაციონალისტები** არიან; მათ ასევე აქვთ **ანტიიმიგრანტული** პოზიციია **რასისტული** და **ქსენოფობიური** რიტორიკითა და **ანტიდასავლური** განწყობებით<sup>14</sup>.

ულტრამემარჯვენე პოპულიზმის მთავარი მახასიათებელი პატრიოტიზმზე და ქართულ ტრადიციულ ფასეულობებსა და მართლმადიდებულ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ნაციონალიზმია. მაგალითად, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი საკუთარ პროგრამაში აქცენტს აკეთებს „ნამდვილ პატრიოტიზმზე“ და ხალხს მოუწოდებს

<sup>6</sup> Mols, F. and Jetten, J. (2016). Explaining the appeal of populist right-wing parties in times of economic prosperity. *Political Psychology*, 37, 275-292.

<sup>7</sup> Hameleers, M. (2018). A typology of populism: toward a revised theoretical framework on the sender side and receiver side of communication. *International Journal of Communication*, 12, 2171-2190.

<sup>8</sup> Staerke, C. and Green, E.G.T. (2018). Right-wing populism as a social representation: a comparison across four European countries. *Journal of Community and Applied Social Psychology*, 28 (6), 430-445.

<sup>9</sup> Brubaker, R. (2017). Between nationalism and civilizationism: the European populist moment in comparative perspective. *Ethnic and Racial Studies*, 40, 1191-1226.

<sup>10</sup> იქვე

<sup>11</sup> Golder, M. (2016). Far-right parties in Europe. *Annual Review of Political Science*, 19, 477-497.

<sup>12</sup> Inglehart, R. F. and Norris, P. (2017). Trump and the xenophobic populist parties. The silent revolution in reverse. *Perspectives on Politics*, 15(2), 443-454.

<sup>13</sup> Giebler, H. and Regel, S. (2018). Who votes right-wing populist? Geographical and individual factors in seven German state elections. *WISO Discourse*, 14/2018.

<sup>14</sup> სტეფანი (2018).

მოიქცნენ „ქართული სულის“ შესაბამისად, რაშიც პარტია „სამშობლოსადმი თავდადებას, რწმენისადმი ერთგულებას, ყოველივე ქართულის სიყვარულსა და ენის პატივისცემას“ გულისხმობს<sup>15</sup>.

მსგავსი რიტორიკით, სხვა ჯგუფები ყურადღებას ამახვილებენ „მომაკვდავ სამშობლოზე“<sup>16</sup> და ქართული ტრადიციების მტრად ასახელებენ ლიბერალიზმს, რომლის მომხრეებსაც „ლიბერასტებს“ (ლიბერალისა და პედერასტის კომბინაცია) უწოდებენ, სექსუალური უმცირესობების უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას.<sup>17</sup> ამავე რიტორიკაში, დასავლეთი წარმოჩენილია დემორალიზებულად და დადანაშაულებულია ჰომოსექსუალიზმის გავრცელებასა და წახალისებაში<sup>18</sup>. რაც შეეხება ანტიდასავლურ პროპაგანდას, დასავლეთის კონტექსტში, დაკარგული იდენტობისა და დემორალიზებული ფასეულობების თავს მოხვევის რიტორიკა წინა წლებთან შედარებით, 2017 წლის შემდეგ გაორმაგდა<sup>19</sup>. სექსუალური უმცირესობები და ქალებისთვის თანასწორი უფლებები ამ დისკურსის ძალიან მგრძობიარე საკითხია და ოჯახის ცნების – ქართული იდენტობის უმთავრესი ტრადიციის – ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ აღიქმება. ოჯახი მიჩნეულია არამხოლოდ ქართული იდენტობის ერთ-ერთ საფუძველად, არამედ სახელმწიფოს სტაბი-

ლურობისა და სიძლიერის ფუნდამენტად<sup>20</sup>. ულტრამემარჯვენე ჯგუფების პროტესტის შემდეგ, რა დროსაც საქართველოს პატრიოტთა ალიანსის, ქართული მარშისა და დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ის<sup>21</sup> წევრები ქორწინების განსაზღვრის მიზნით რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდნენ, 2017 წლის ოქტომბერში კონსტიტუციური ცვლილებების დამტკიცებისას, ქორწინება განიმარტა, როგორც „ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით“<sup>212</sup>.

ამ ჯგუფებს აქვთ საკმაოდ აგრესიული რიტორიკა უცხოელებისა და მიგრანტების წინააღმდეგ. მართალია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი იმიგრანტებს ღიად არ უპირისპირდება, მაგრამ პარტია ცნობილია ძლიერი ანტითურქული სენტიმენტებითა და ქსენოფობიური რიტორიკით<sup>23</sup>. 2017 წლის ივნისს, ქართულმა მარშმა გააპროტესტა არალეგალი მიგრანტები ისეთი სლოგანებით, როგორიცაა „საქართველო ქართველებისთვის“ და „ყველამ თავისი ადგილი იცოდეს“<sup>24</sup>. პროტესტში მონაწილეობა ასევე მიიღეს საქართველოს პარტიოტთა ალიანსის წევრებმა და 2018 წლის მარტს თავდად დაუდგნენ ქართული მარშის დაკავებულ აქტივისტებს<sup>25</sup>.

ულტრამემარჯვენე მოძრაობები ძირითადად ანტიმიგრანტული და ანტიდასავლური

<sup>15</sup> Kakachia, K. and Kakhishvili, L. (upcoming). Contextualizing populism in Georgian politics. Working paper.

<sup>16</sup> სტეფანი (2018).

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> Larsen, J. (2017). To understand constitutional reform in Georgia, look beyond the president. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 4 მაისი 2017. <http://gip.ge/understand-constitutional-reform-georgia-look-beyond-president/>

<sup>19</sup> Kintsurashvili, T. (2018). Hate speech. Media Development Foundation.

<sup>20</sup> Minesashvili, S. (2017). Orthodoxy as soft power in Russia-Georgia relations. In: Joedicke, A. (ed.). Religion and soft power in the South Caucasus. Routledge.

<sup>21</sup> Georgian president blocks referendum to ban same-sex marriage. (2016). Democracy and Freedom Watch. ხელმისაწვდომია: <https://dfwatch.net/georgian-president-blocks-referendum-bid-to-ban-same-sex-marriage-44376>

<sup>22</sup> Civil.ge. (2017). Key points of newly adopted constitution. ხელმისაწვდომია: <https://old.civil.ge/eng/article.php?id=30474>

<sup>23</sup> სტეფანი (2018).

<sup>24</sup> Jam news (2017).

<sup>25</sup> სტეფანი (2018).

განწყობების მქონე ჯგუფები არიან, თუმცა ისინი ამ ორი ფენომენის ერთმანეთთან დაკავშირებასაც ახერხებენ. მაგალითად, ვიზალიბერალიზაციის თემა ნარმატივით დაუკავშირდა „მიგრანტების საფრთხეს“<sup>26</sup>. უვიზო რეჟიმი ორმაგ საფრთხედ აღიქმებოდა, რადგან არსებობდა რისკი, რომ ქართველები საქართველოს დატოვებდნენ და რომ ეს იყო ევროკავშირის დირექტივა საქართველოსთვის მიგრანტების – განსაკუთრებით კი მუსლიმი მიგრანტების – მიღების თაობაზე. ამან კიდევ უფრო მეტად გააძლიერა შიში, რომ მიგრანტები ქვეყანას წაღვევდნენ და ქართულ მიწას დაესაკუთრებოდნენ<sup>27</sup>.

ულტრამემარჯვენე ღირებულებებთან ერთად, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი სხვა პოპულისტურ მოძრაობებსაც უახლოვდება საკუთარ პროგრამაში ანტიელიტიზმის ელემენტების გაჩენით. პარტია მხარს უჭერდა ქართველი ხალხის მიერ მმართველობას და პირდაპირ დემოკრატია, მიუღებელი მთავრობის ოფიციალური

პირების ჩამოშორებას და ისეთი კანონებისა და წესების შეცვლას, რომელთაც ჯგუფი მხარს არ უჭერდა<sup>28</sup>. პარტია არ არის კონკრეტულად ანტი-ინსტიტუციონალისტი ან ანტი-დემოკრატი, რადგან ძალაუფლების მოპოვებას არჩევნების გზით ცდილობს<sup>29</sup>. თუმცა, რადგან პოპულიზმს ულტრამემარჯვენეობის ელფერი დაჰკრავს, მისი მოთხოვნები, ხალხის სახელით, ლიბერალური დემოკრატის წინააღმდეგაა მიმართული.

ულტრამემარჯვენე პოპულისტური ჯგუფების მობილიზება შესამჩნევი ტრენდი გახდა დასავლეთში და საქართველოშიც იძენს აქტუალობას, რაც მათი სოციალური საფუძვლების შესახებ კითხვებს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. რა ფაქტორები განაპირობებს საზოგადოების მხარდაჭერას ულტრამემარჯვენე პოპულისტებისადმი? განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა შემთხვევების შესწავლა საშუალებას იძლევა მოხდეს ამ მზარდი ფენომენისადმი საზოგადოების მხარდაჭერის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება.

## საზოგადოებრივი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ულტრამემარჯვენე პოპულიზმის მომქალაპრობას

ულტრამემარჯვენე და ნაციონალისტურმა პოპულიზმმა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას ტალღად გადაუარა<sup>30</sup>. არაერთი კვლევა ჩატარდა იმ საზოგადოებრივი ფაქტორების დასადგენად, რაც ამ ფენომენის ახსნას შეძლებდა. კვლევების დიდი ნაწილი ამას

არახელსაყრელ ეკონომიკურ პირობებსა და ცვალებად კულტურულ ჩარჩოებს მიაწერს და ეკონომიკური სიდუხჭირითა და არასაბარბილო ეკონომიკურ მდგომარეობით ხსნის, რამაც ხელი შეუწყო უკვე არსებულ ნაციონალისტურ მოძრაობებს<sup>31</sup>. სხვები ამ

<sup>26</sup> ჯღარკავა, ი. (2017). ანტიმიგრანტული რიტორიკა საქართველოში:

ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს პროევროპულ დისკურსს ულტრა-ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან? საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 16(2017).

<sup>27</sup> Shiffers, S., Hegedüs, D., Minesashvili, S., Bakakuri, T., Tchipashvili, L., Gelhaus, L., Le Grix, V. and Seebass, F. (2018). Normative power vs. Democratic backsliding: European values in the EU and Georgia. POLIS, GIP, Argo. ხელმისაწვდომია: <https://polis180.org/blog/2018/11/21/geoeuvalues-policy-paper-normative-power-vs-democratic-backsliding/>

<sup>28</sup> Kakachia and Kakhishvili (upcoming).

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> Golder (2016); Mudde, C. (ed.). (2017). *The populist radical right: a reader*. New York: Routledge.

<sup>31</sup> Springford, J. and Tilford, S. (2017). Populism – culture or economics? Center for European reform. ხელმისაწვდომია: <https://www.cer.eu/insights/populism-%E2%80%93-culture-or-economics>



ფენომენს სოციალური მარგინალიზაციის მომძლავრებას მიაწერენ, რაც ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებთან ერთობლიობაში განვითარდა<sup>32</sup>.

სხვადასხვა მიზეზთა გამო, გასული წლები შემოსავლების შემცირებითა და უთანასწორობის ზრდით ხასიათდება, რა დროსაც მაღალშემოსავლიანმა ჯგუფებმა არაპროპორციულად დიდი სარგებელი მიიღეს<sup>33</sup>. მაგრამ თუკი, ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა სასოწარკვეთილებასა და ექსტრემისტული პარტიების მხარდაჭერას იწვევს, მხოლოდ ეს არ ყოფილა ულტრამემარჯვენე პოპულიზმის მომძლავრებისთვის საკმარისი წინაპირობა. აქ მნიშვნელოვანი როლი კულტურულმა ფაქტორებმაც ითამაშა, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირე ხელს უწყობს ადრე არსებული ტენდენციების მომძლავრებას სოციალურად კონსერვატიულ ხალხში, რაც გამოიხატება ძლიერი ანტიიმიგრანტული განწყობებითა და პოლიტიკური ელიტების მიმართ უნდობლობით<sup>34</sup>. ეკონომიკური ფაქტორები მხოლოდ არაპირდაპირ უკავშირდება მომძლავრებულ პოპულიზმს: როდესაც კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების გავლენები ერთმანეთს ედრება, კულტურული ღირებულებები მუდმივად წინასწარმეტყველებს პოპულიზტური პარტიების მხარდაჭერას, რაც გულისხმობს ულტრამემარცხენე იდეოლოგიების მხარდაჭერას, ანტიიმიგრანტულ განწყობებს, ეროვნული და გლობალური მმართველობის მიმართ უნდობლობას და ავტორიტარული ღირებულებების მხარდაჭერას<sup>35</sup>. ეკონომიკური გასაჭირი და საკუთარი თავის არახელსაყრელ სოციალურ პოზიციაში აღქმა ხელს უწყობს ელიტების მიმართ უნდობლობის გაძლიერებასა და იმიგრანტების დადანაშაულებას<sup>36</sup>. ამასთან, ლიბერალურ დემოკრატიული იდეოლოგიის პოსტმატერიალისტურ და მულტიკულტურულ ღირებულებებთან გაუცხოება ხელს უწყობს სოციალურ მარგინალიზაციას<sup>37</sup>. საზოგადოებრივ გამოკითხვებში იკვეთება წარსულ სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ნოსტალგია, რომელიც ყველასათვის უკეთეს მდგომარეობად აღიქმება; მომავლის მიმართ პესიმიზმი; დაბალი სოციალური სტატუსის სუბიექტური აღქმა (ცხოვრებითა და მატერიალური მდგომარეობით კმაყოფილება); ხალხის მიმართ დაბალი ნდობა; ქვეყანაში დემოკრატიის მიმართ უკმაყოფილება; პოლიტიკური ელიტებისადმი დაბალი ნდობა; ცვალებადი კულტურული ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია გენდერულ თანასწორობასთან, მულტიკულტურულთან, სეკულარულ ფასეულობებთან და ლგბტ უფლებებთან<sup>38</sup>.

რეაქციული პოპულიზმი ხელს უწყობს ელიტების მიმართ უნდობლობის გაძლიერებასა და იმიგრანტების დადანაშაულებას<sup>36</sup>. ამასთან, ლიბერალურ დემოკრატიული იდეოლოგიის პოსტმატერიალისტურ და მულტიკულტურულ ღირებულებებთან გაუცხოება ხელს უწყობს სოციალურ მარგინალიზაციას<sup>37</sup>. საზოგადოებრივ გამოკითხვებში იკვეთება წარსულ სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ნოსტალგია, რომელიც ყველასათვის უკეთეს მდგომარეობად აღიქმება; მომავლის მიმართ პესიმიზმი; დაბალი სოციალური სტატუსის სუბიექტური აღქმა (ცხოვრებითა და მატერიალური მდგომარეობით კმაყოფილება); ხალხის მიმართ დაბალი ნდობა; ქვეყანაში დემოკრატიის მიმართ უკმაყოფილება; პოლიტიკური ელიტებისადმი დაბალი ნდობა; ცვალებადი კულტურული ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია გენდერულ თანასწორობასთან, მულტიკულტურულთან, სეკულარულ ფასეულობებთან და ლგბტ უფლებებთან<sup>38</sup>.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს მოსახლეობაში და ჰქონდა თუ არა გასულ წლებში ადგილი ისეთ მოვლენებს, რომლებიც ულტრამემარჯვენე ჯგუფების გავლენის ზრდას დაემთხვა?

<sup>32</sup> Gidron, N. and Hall, P.A. (2017). Populism as a problem of social integration. ხელმისაწვდომია: <https://scholar.harvard.edu/files/hall/files/gidronhallapsa2017.pdf>

<sup>33</sup> Springford and Tilford (2017).

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> Inglehart and Norris (2016).

<sup>36</sup> Golder, (2016); Müller, J. W. (2016). *What is populism?* Philadelphia: University of Pennsylvania Press.

<sup>37</sup> Gidron and Hall (2017)

<sup>38</sup> იქვე.


## კონსერვატიული ფასეულობები ქართულ საზოგადოებაში

თუკი წლების მანძილზე საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისადმი მხარდაჭერა იზრდებოდა<sup>39</sup>, ლიბერალურ დემოკრატიასთან დაკავშირებული ტრადიციული ღირებულებების თვალსაზრისით, საქართველო მაინც რჩება „ღრმად სოციალურ კონსერვატიულ“ ქვეყანად<sup>40</sup>. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ღირებულებებს, რომლებსაც ულტრამემარჯვენე ჯგუფები უპირისპირდებიან: გენდერული თანასწორობის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ოჯახის ღირებულებებთან; განწყობები უმცირესობათა ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური, რელიგიური და განსაკუთრებით სექსუალური უმცირესობების მიმართ; და ბოლოს დამოკიდებულება მიგრანტების მიმართ, რომელიც ეთნიკურ განსხვავებებს ეფუძნება.

სიძულვილის ენის შესახებ CRRC-ს 2018 წლის გამოკითხვის მიხედვით, ქართველების მესამედი მრავალფეროვნებას, მათ შორის

ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას ქვეყანაში ნეგატიურ განვითარებად აღიქვამს. მათგან, 65%-ს აქვს ნეგატიური დამოკიდებულება ზოგადი და ეთნიკური მრავალფეროვნების მიმართ, ხოლო 41% რელიგიურ მრავალფეროვნებას აღიქვამს უარყოფითად, როგორც კულტურის, ტრადიციებისა და ეროვნული ერთობის წინაშე მდგარ საფრთხეს. ამასთან, ქართველების 85%-ს არ სურს მეზობლად ჰყავდეს სხვა ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი. ამ განწყობების მიუხედავად, ქართველების უმრავლესობას (76%-80%) მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა. თუმცა ეს არ ვრცელდება საქართველოში ყველაზე ნაკლები შემწყნარებლობის მქონე ჯგუფზე – სექსუალურ უმცირესობებზე – გამოკითხულთა მხოლოდ 33% მიიჩნევს, რომ ლგბტ ჯგუფის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია<sup>41</sup>.

DIVERST: რამდენად დადებითი ან უარყოფითი მოვლენაა მრავალფეროვნება ქვეყნისთვის? (%)



<sup>39</sup> Shiffers et al (2018).

<sup>40</sup> Mestvirishvili, M. and Mestvirishvili, N (2014). I am Georgian and therefore, I am European: re-searching the Europeaness of Georgia. CEJISS, 8(1).

<sup>41</sup> CRRC. (2018). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში, აგვისტო 2018. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/ge/hs2018ge/codebook/>

სექსუალური უმცირესობების მიმართ ტოლერანტობის ხარისხი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო. ლგბტ თემი საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობას ხვდება საკუთარი კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით. მაგალითად, 2013 წლის მაისში მასშტაბური და ძალადობრივი აქცია გაიმართა გეი უფლებების დასაცავად გამართული აქციის წინააღმდეგ, ხოლო 2014 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა შეხვდა. ჰომოსექსუალობა მიუღებელია მოსახლეობის თითქმის 90%-ისთვის; ეს რიცხვი კი წლების მანძილზე ჩატარებულ გამოკითხვებში ნაკლებად იცვლება. 2018 წლის გამოკითხვებით, რესპონდენტებმა კრიმინალების შემდეგ, ლგბტ თემის წარმომადგენლები სამეზობლოდ ყველაზე არასასურველ პირებად დაასახელეს<sup>42</sup>.

თუკი კონსერვატიული ღირებულებები საქართველოსთვის ახალი არაა და ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქვეყნის მოსახლეობაში, უახლესი ტენდენციები მიგრანტების მიმართ გარკვეულწილად შეცვლილ განწყობებზე მიუთითებენ. როდესაც საქმე მიგრანტებს ეხება, უარყოფითმა დამოკიდებულებამ 2015 წლის შემდეგ იმატა. 2015 წელს, მხოლოდ მცირე ჯგუფი (5%) გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას იმ უცხოელების მიმართ, ვინც საქართველოში შემოდიოდა და სამ თვეზე მეტი

ხნით რჩებოდა. 2017 წლისთვის, ეს რიცხვი 16%-მდე გაიზარდა. ეს განწყობა განსაკუთრებით ეხებათ აზიელებს, აფრიკელებს და მუსლიმებს. მაგალითად, იმათი რიცხვი, ვინც არ ემხრობა თურქებთან, არაბებთან, ირანელებთან, ინდოელებთან, ჩინელებთან და აფრიკელებთან (დაახლოებით ერთი მესამედი) ბიზნეს საქმიანობას, 2015-დან 2017 წლამდე გაიზარდა<sup>43</sup>. იმავდროულად, ქართველების ერთი მესამედი არ ემხრობა მუსლიმებთან ბიზნეს საქმიანობაში ჩართვას<sup>44</sup>.

კონსერვატიულ სოციალურ ღირებულებებს საკმაოდ ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ საზოგადოებაში და უმეტესობის ხედვები ულტრამემარჯვენე ჯგუფების ხედვებს ემთხვევა, როდესაც საქმე სექსუალურ უმცირესობებსა და ქალების უფლებებს ეხება. ერთი მხრივ, თუკი ქართველების მხოლოდ უმცირესობას აქვს ნეგატიური დამოკიდებულება მიგრანტებისადმი, მათი რიცხვი გასამმაგდა ბოლო ორი წლის განმავლობაში. მაშინ როდესაც საზოგადოების კონსერვატიული ღირებულებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, როდესაც იგი ეკონომიკურ სიდუხჭირესა და სოციალური იზოლაციის პრობლემასთან კომბინაციაში ვითარდება, იქმნება მყარი საფუძველი ულტრამემარჯვენე პოპულიზმისთვის. მოხდა თუ არა ამ მიმართულებით რაიმე ფორმით განვითარება საქართველოს მოსახლეობაში?

<sup>42</sup> CRRC. (2018). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.

<sup>43</sup> CRRC. კავკასიის ბარომეტრი. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/ge/datasets/>


<sup>44</sup> CRRC. (2018).

## ქართული საზოგადოების ცვალებადი აღქმები

საზოგადოების წარმოდგენა ეკონომიკურ მდგომარეობასა და პოლიტიკური ელიტის მიღწევებზე ბოლო წლების განმავლობაში უფრო მეტად ნეგატიური გახდა. IRI-ს გამოკითხვების მიხედვით, გაზრდილია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც 2014 წლის შემდეგ მთავრობის, პარლამენტისა და პოლიტიკუ-

რი პარტიების შესახებ უარყოფითი წარმოდგენისაა. მაგალითად, იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომლებიც დადებითად აფასებენ მთავრობას 2014 წელს 69%-დან 2018 წელს 34%-მდე შემცირდა, ხოლო იმავე პერიოდში უარყოფითი აზრის მქონეთა რაოდენობა 45%-დან 60%-მდე გაიზარდა<sup>45</sup>.

### Opinions of Institutions: Government (Cabinet of Ministers)



2013 წლის შემდეგ ასევე იკლო ქართველების ოპტიმიზმმა ქვეყნის მომავლის შესახებ. იმ ადამიანების რიცხვი, ვინც ფიქრობდა, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდებოდა 22%-დან (2013) 67%-მდე (2018) გაიზარდა. ამასთან, გაუარესდა ადამი-


ანების აღქმა საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც მიიჩნევს, რომ მათი ოჯახების ფინანსური მდგომარეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში გაუარესდა 7%-დან (2014) 29% -მდე (2018) გაიზარდა<sup>46</sup>.

<sup>45</sup> International Republican Institution (IRI). (2018). Public opinion survey: residents of Georgia. 10-22 April 2018. ხელმისაწვდომია: [http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29\\_georgia\\_poll\\_presentation.pdf](http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf)

<sup>46</sup> IRI (2018).



## Do you think that things in Georgia are going in the:



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც სოციალურ მარგინალიზაციასთან დაკავშირებით ადამიანების აღქმას განსაზღვრავს, სხვა ადამიანების მიმართ ნდობის ხარისხია. ეს კი გულისხმობს იმას, თუ რამდენად გრძნობენ ადამიანები თავს არსებული ნორმატიული წყობის ნაწილად, რამდენად ერთვებიან სოციალურ აქტივობებში


და რამდენად გრძნობენ პატივისცემას. ნაკლები ნდობა მეინსტრიმული პოლიტიკის მიმართ გაუცხოებასა და რადიკალური პარტიების მხარდაჭერის შესაძლებლობაზე მიუთითებს<sup>47</sup>. იმ ქართველების რიცხვი კი, რომლებიც სხვა ადამიანებს არ ენდობიან 2013 წელს 35%-დან 2017 წელს 52%-მდე გაიზარდა<sup>48</sup>.

<sup>47</sup> Gidron and Hall (2017).

<sup>48</sup> CRRC. კავკასიის ბარომეტრი.

GALLTRU: ადამიანების უმეტესობას შეიძლება ენდო? (%)

GALLTRU: Most people can be trusted? (%)



Caucasus Barometer time-series dataset Georgia  
Retrieved from <http://caucasusbarometer.org/>

საბოლოო ჯამში, გასული წლების განმავლობაში, ქართველები მომავლის მიმართ უფრო პესიმისტურები გახდნენ, უფრო მე-

ტად არიან იმდებაცრუებულნი პოლიტიკური ელიტების საქმიანობით და ნაკლებად ენდობიან სხვა ადამიანებს.

**დასკვნა**

საზოგადოებრივი კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ საზოგადოების ღირებულებები მყარ საფუძველს ქმნის რადიკალური ულტრაულტრამემარჯვენე მოძრაობებისთვის. ზოგიერთი სოციალურ კონსერვატიული ღირებულება კვლავ ღრმად ფესვგადგმულია საზოგადოებაში, თუმცა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მეტი შეშფოთების საფუძველს იძლევა. მართლაც, საქართველოში ულტრამემარჯვენე პოპულიზმის ხილვადობის ზრდასთან ერთად, საზოგადოება უფრო მეტი სკეპტიციზმით უყურებს მიგრანტებს, ეს კი ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ გა-

ულერებული მთავარი საკითხია. ამასთან, მოსახლეობის თვალში უარესდება სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა მაშინ, როდესაც პოლიტიკოსების, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და თანამოქალაქეების მიმართ ნდობა მცირდება, ხოლო ეკონომიკურ სიდუხჭირეზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად ძლიერდება პესიმიზმი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით. სოციალურ კონსერვატიულ ღირებულებებთან კომბინაციაში, ეს ფაქტორები ხშირად გამოიყენება რადიკალიზმის ასახსნელად ევროპასა და აშშ-ში. თუმცა ეს ტენდენციები ქართულ პოლიტიკაში ულტრამემარჯვენე

პოპულიზმის აუცილებლად მომძლავრებას არ გულისხმობს. მართლაც, ულტრამემარჯვენე ჯგუფები კვლავ მარგინალურ ძალად აღიქმებიან; საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა მიიღო ხმების მხოლოდ 5%, რაც ზუსტად ხმათა ის რაოდენობა იყო, რაც პარლამენტში შესვლისთვის იყო აუცილებელი. მანამ, სანამ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს, ისეთებს, როგორცაა ქართული მარში და საქართველოს ეროვნული ერთობა, ძალადობაზე დამყარებული დღის წესრიგი აქვთ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ისინი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მხარდაჭერას მოიპოვებენ. თუმცა, არ შეიძლება იმ შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობა, რომ ეს ჯგუფები მეტ პოპულარობას მოიპოვებენ, თუ საკუთარი პოზიციების მეტად პრაქტიკული კუთხით ფორმულირებას მოახერხებენ – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს ნოყიერი ნიადაგი სოციალური ღირებულებების, ეკონომიკური აღქმებისა და ელიტების მიმართ უნდობლობის თვალსაზრისით. საბოლოოდ, ასეთი ჯგუფების მომძლავრება ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ დიდწილად უკავშირდება იმ პარტიებს, რომლებმაც შეძლეს არსებული ეკონომიკური ან სოციალური მდგომარეობის გამოყენება და საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება. ამასთან, მარგინალურობის მიუხედავად, ამ ჯგუფებმა მოახერხეს საქართველოში დემოკრატიული და ევროპული ღირებულებების მხარდამჭერი ჯგუფების გამოწვევა, იმ ჯგუფების, რომლებიც მითებს, რადიკალურ ულტრამემარჯვენე და ულტრამემარჯვენე პოპულისტური ჯგუფების პროპაგანდის საშუალებით გავრცელებულ უსაფუძვლო შიშებს უნდა დაუპირისპირდნენ. მსგავს სიტუაციაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება ქართული საზოგადოების დემოკრატიული ღირებულებების გარშემო მობილიზება.

## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობისთვის:

- უნდა გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონის უზენაესობა.
- როგორც მთავრობა, ისე მმართველი პარტია ღიადა უნდა გაემიჯნოს ულტრამემარჯვენე პოპულისტური პარტიებსა და ჯგუფებს.
- მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები ამ ჯგუფების წინააღმდეგ, მათ შორის ექსტერმისტული ულტრაულტრამემარჯვენე ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთა აქტივობებიც კონსტიტუციურ ნორმებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება. ეს უკანასკნელნი, არ უნდა იყვნენ ნახალისებულნი შემწყნარე-

ბლური პოლიტიკით ან ოფიციალური მხარისგან ბუნდოვანი პასუხებით.

- მნიშვნელოვანია, ღიადა მოხდეს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულების დეკლარირება. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპები არ უნდა გახდეს პოლიტიკური დებატების საგანი. მნიშვნელოვანია, რომ მმართველი პარტია და მისი წევრები არ ირეკლავდნენ მიგრანტების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ან არ გაურბოდნენ საკუთარი პოზიციის გამოხატვას პოლიტიკური სარგებელის მისაღების მიზნით.

○ მთავრობამ პრიორიტეტად უნდა დაისახოს სიღარიბის, უმუშევრობისა და ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევა საზოგადოების მონყვლად ჯგუფებს შორის სამუშაოსთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებით. უნდა გამოქვეყნდეს ნათელი და გრძელვადიანი გეგმა ამ საკითხების მოსაგვარებლად. ამით, მთავრობასაც შეეძლება

ამომრჩეველთა ნუხილსა და გასაჭირზე საპასუხოდ, საჯაროდ მოახდინოს მის მიერ გატარებული ღონისძიებების დემონსტირება.

○ ოფიციალური პირები ასევე ღიად უნდა დაუპირისპირდნენ ულტრამემარჯვენე პოპულისტების მიერ გავრცელებულ მითებსა და ფობიებს.

### საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებისთვის:

○ გააძლიეროს ზენოლა მთავრობაზე, რათა მან გაატაროს შესაბამისი ზომები იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფენ კონსტიტუციურ ნორმებს.

○ ორგანიზება გაუწიოს ინფორმაციულ და ფაქტებზე დაფუძნებულ კამპანიებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ გავრცელებული უსაფუძვლო შიშების საპასუხოდ. მაგალითად, ამგვარი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს საქართველოში შემოსული მიგრანტების რაოდენობის ან უცხოელების მიერ მინის ფლობის შესახებ ზუსტი მონაცემების გამოქვეყნებას.

○ ორგანიზება გაუწიონ საინფორმაციო კამპანიებს ევროპული და დემოკრატიული ღირებულებების და მათი ეროვნულ იდენტობასთან და ტრადიციებთან თავსებადობის შესახებ. ეს კი უნდა დაუპირისპირდეს არსებულ ნარმოდგენებს ამ ფენომენის ექსკლუზიური ბუნების შესახებ.

○ ყველაზე მონყვლადი ჯგუფები ჩართონ სოციალურ აქტივობებში. ადამიანები, რომლებიც დისტანცირებულნი არიან არამხოლოდ მიგრანტებისგან, არამედ ინსტიტუციებისგან და საკუთარი თანამოქალაქეებისგან, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი რადიკალური პოზიციის არჩევისკენ.





ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ  
ნდობის კლებადი ტენდენცია: რას ნიშნავს ეს  
დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ  
შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან  
აცილება?

ლევან კახიუვილი<sup>1</sup>



## მოკლე შინაარსი

საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა 2012 წელს 21%-დან 2017 წელს 8%-მდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ნდობის ხარისხი არასდროს ყოფილა განსაკუთრებულად მაღალი, ეს ტენდენცია პოლიტიკური პარტიებისთვის შემფოთების საფუძველი და მოქმედებისთვის ბიძგის მიმცემი უნდა გახდეს. პოლიტიკურ ნდობას ძირითადად სოციალური რწმენები და პოლიტიკური ინსტიტუტები განაპირობებს. წინამდებარე დოკუმენტში უნდობლობის საფუძვლების გამოსავლენად, ეს ორი მიმართულებაა გაანალიზებული. რწმენების თვალსაზრისით, განხილულია საქართველოში საზოგადოების აღქმები ნდობის ოთხ ასპექტთან დაკავშირებით: კომპეტენცია, კეთილსინდისიერება, პატიოსნება და პროგნოზირებადობა. დოკუმენტში ასევე განხილულია პოლიტიკური ინსტიტუტების როლი. კერძოდ კი, გაანალიზებულია პოლიტიკური პარტიების გამჭვირვალობის პრობლემები, რაც კიდევ უფრო მეტად უშლის ხელს ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას – ეს კი ნდობის დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს. წინამდებარე ნაშრომში ასევე გაანალიზებულია 2015-2018 წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის

გამოკითხვები, მათ შორის CRRC-ის კავკასიის ბარომეტრისა და NDI-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევები, რაც წარმოდგენას ქმნის მოსახლეობის აღქმებისა და რწმენების შესახებ. ამასთან, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პოლიტიკური ნდობის დაბალი დონე აზიანებს დემოკრატიას საქართველოში, განსაკუთრებით, პოლიტიკური პარტიების უნარს, შეასრულონ თავიანთი წარმომადგენლობითი ფუნქცია. პოლიტიკური პარტიები და საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციით დაინტერესებული პირები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ნდობადაკარგული ამომრჩევლების მაღალ პროცენტულ წილს პირდაპირი გავლენა აქვთ პოლიტიკაში მოქალაქეების ჩათულობის დონეზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მათი ჩართულობა პარტიულ პოლიტიკაში კვლავ დაბალი იქნება. შესაბამისად, წინამდებარე ნარკვევში წარმოდგენილია რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კვლევითი და დონორი ორგანიზაციებისთვის იმისათვის, რომ შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგას საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის გაზრდის მიმართულებით.

<sup>1</sup> ლევან კახიშვილი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) ანალიტიკოსი და ჰამბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) სოციალური მეცნიერებების სადოქტორო სკოლის (BAGSS) დოქტორანტი.



## შესავალი: პოლიტიკური ნდობის პრობლემა და მისი გავლენა დემოკრატიის კონსოლიდაციაზე საქართველოში

პოლიტიკური ნდობის ფენომენი საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზისას ხშირად ყურადღების მიღებას დასრულებულია. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ ნდობა კომპლექსური, მრავალკომპონენტური ცნებაა და მისი კონტექსტუალიზაცია მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესაბამისად მარტივი არ არის. თუმცა, საზოგადოების ნდობის ხარისხს პოლიტიკური ინსტიტუტების და მოთამაშეების, მაგალითად პოლიტიკური პარტიების მიმართ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა ქონდეს დემოკრატიზაციის პროცესზე და, საბოლოოდ, დემოკრატიულ კონსოლიდაციაზე. მაგალითად, 2012 წლიდან 2017 წლამდე, საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა 21%-დან 8%-მდე შემცირდა, მაშინ როდესაც უნდობლობა 22%-დან 43%-მდე გაიზარდა.<sup>2</sup> რესპონდენტების უმრავლესობა იყო ინდიფერენტული (არც ნდობის და არც უნდობლობის მაჩვენებელი – 43% 2017 წელს) ან არ სურდა შეკითხვაზე პასუხის გაცემა („არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების ჯამი – 8%).<sup>3</sup> მიუხედავად იმისა, რომ ნდობის ხარისხი იდეალურისგან შორს იყო 2012 წელს, ასეთი მკვეთრი ვარდნა პოლიტიკური პარტიებისთვის შემამფოთებელი უნდა იყოს. ნდობის დაბალი მაჩვენებლის შედეგი ორგვარია: ნდობადაკარგული

ამომრჩეველი მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებში და არ იმუშავებს ან/და არ იქნება პოლიტიკური პარტიის მოხალისე.<sup>4</sup> ამასთან, პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობის მაღალი დონე მიუთითებს იმაზე, რომ პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირი სუსტია; ამომრჩევლები უარყოფითად აფასებენ პოლიტიკური პარტიების საქმიანობას; და ამომრჩევლებმა ნაკლებად იციან ან გამოუცდიათ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა.<sup>5</sup> ეს პრობლემა უფრო ფართო კონტექსტში საქართველოში დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ნდობის ნაკლებობის გამო, ამომრჩევლები თავს იკავებენ პოლიტიკაში მონაწილეობისაგან<sup>6</sup> – მაშინ, როდესაც პოლიტიკაში ჩართულობა მონაწილეობითი დემოკრატიის ქვაკუთხედი. შედეგად, აუცილებელი ხდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად სწრაფი რეაგირება და დროთა განმავლობაში პოლიტიკური პარტიების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაზრდის გზების ძიება. წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის ფენომენი და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები პოლიტიკური ნდობის გაზრდის მიზნით.

<sup>2</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები – საქართველო“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.

<sup>3</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „კავკასიის ბარომეტრი გამოკითხვის რამდენიმე ტალღის/წლის მონაცემთა ბაზები“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.

<sup>4</sup> Ceka, B. (2012). “The Perils of Political Competition: Explaining Participation and Trust in Political Parties in Eastern Europe”. *Comparative Political Studies*. 46(12), 1610-1635. DOI: 10.1177/0010414012463908.

<sup>5</sup> Berlin, D. and L.J. Lundqvist. (2012). “Do Leopards Ever Change Their Spots? The Development of Political Trust among Swedish Green party Sympathisers”. *Environmental Politics*. 21(1), 131-152. DOI: 10.1080/09644016.2011.643372.

<sup>6</sup> Ceka, B. (2012). “The Perils of Political Competition: Explaining Participation and Trust in Political Parties in Eastern Europe”. *Comparative Political Studies*. 46(12), 1610-1635. DOI: 10.1177/0010414012463908.

## რა არის ნდობა და როგორ შეიძლება მისი გაანალიზება?

ნდობა გულისხმობს ადამიანის ან ადამიანების ჯგუფის დამოკიდებულებას სხვა აქტორზე ან მის იმედზე ყოფნას ფარდობითი უსაფრთხოების გარკვეული გრძნობით.<sup>7</sup> ეს კი მიმდობი მხარის მოწყვლადობას განაპირობებს და თავისთავად შეიცავს რისკს, რომ ზოგიერთი მიზანი არ განხორციელდება. ნდობის, როგორც პოლიტიკური ფენომენის, გასაგებად ნდობის სამი უმნიშვნელოვანესი ასპექტის გათვალისწინებაა აუცილებელი. პირველი, ზოგი ადამიანი უფრო მეტად ენდობა სხვებს – ეს ხასიათის თავისებურებაა. მეორე, რიგი რწმენებისა ნდობის უფრო მაღალ დონეს განაპირობებს – მაგალითად რწმენა, რომ ნდობის ობიექტი საკმარისი კომპეტენციით, კეთილსინდისიერებით, პატიოსნებითა და პროგნოზირებადობით ხასიათდება იმისათვის, რომ მიმდობი მას ენდოს (ქვემოთ განხილულია თითოეული ეს მახასია-

თებელი). ბოლოს, ინსტიტუციური მოწყობის გარკვეული ფორმები ნდობის უფრო მაღალ ხარისხს განაპირობებს. აღნიშნული სამი ასპექტიდან, ბოლო ორი საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ რთულია ნდობის მიმართ მიდრეკილების შეცვლა, შესაძლებელია რწმენების ჩამოყალიბება და განვითარება ისევე, როგორც ინსტიტუტების შექმნა. ამასთან, ის ფაქტი, რომ 2012 წელს საზოგადოების მხრიდან პარტიების მიმართ ნდობა საგრძნობლად უფრო მაღალი და უნდობლობა უფრო დაბალი იყო, მიანიშნებს იმაზე, რომ ნდობა, როგორც წინასწარი განწყობა ან მიდრეკილება, ამ განხილვისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, პრობლემის საფუძვლები რწმენებსა და ინსტიტუტებში უნდა ვეძიოთ.

## ნდობის განმაპირობებელი რწმენები: როგორ განსჯიან ქართველები კლიტიკურ პარტიებს?

ოთხი სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენა, რომელიც ნდობის ერთ-ერთ განზომილებას წარმოადგენს, გულისხმობს კომპეტენციას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებასა და პროგნოზირებადობას. მნიშვნელოვანია მათი ცალ-ცალკე განხილვა იმისათვის, რომ გამოიკვეთოს თუ როგორ უყურებს ქართული საზოგადოება პოლიტიკურ პარტიებს და რატომ დაკარგა მათ მიმართ ნდობა. არსებული მონაცემები არასრულია, რადგან საჯაროდ ხელმისაწვდომი კვლევები

არ ჩატარებულა იმის დასადგენად, თუ რამდენად განსაზღვრავს საზოგადოების რწმენები პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობას. თუმცა, მაინც შესაძლებელია სხვადასხვა მონაცემთა ბაზებში, მათ შორის CRRC-ის კავკასიის ბარომეტრისა და NDI-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევებში (ყველა კვლევა ჩატარებულია 2015 და 2018 წლების შუალედში) ისეთი მონაცემების მოპოვება, რომელიც მჭიდროდაა კავშირში საზოგადოების რწმენებთან.

<sup>7</sup> McKnight, D.H. and N.L. Cherrany. (2001). "Trust and Distrust Definitions: One Bite at a Time". In: R. Falcone, M. Singh, and Y.-H. Tan (Eds.): *Trust in Cyber-societies*. Springer-Verlag: Berlin Heidelberg.

**კომპეტენცია**

მიმდობს, ამ შემთხვევაში ქართულ საზოგადოებას, უნდა სწამდეს რომ ნდობის ობიექტს, ამ შემთხვევაში პოლიტიკურ პარტიებს, შეუძლიათ ამომრჩევლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა. საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, საქართველოში საზოგადოების პრიორიტეტი ეკონომიკური და სოცალუ-

რი საკითხებია, რასაც მოსდევს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები.<sup>8</sup> ცხრილ 1-ში წარმოდგენილია მონაცემები თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების კომპეტენციებს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის ექვსი სხვადასხვა მიმართულებით.

ცხრილი 1: საზოგადოების მხრიდან აღქმული საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების კომპეტენციები

#	პოლიტიკური პარტია	ყველაზე მეტად რომელ პარტიას ენდობთ შემდეგი პრობლემების გადასაჭრელად? (%)					
		ეკონომიკური განვითარება	განათლება	ჯანდაცვა	ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა	სამხედრო და თავდაცვითი შესაძლებლობები	დემოკრატიული განვითარება
1	ქართული ოცნება	24	28	37	16	26	27
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	11	12	10	6	13	10
3	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	3	3	2	2	2	2
4	ევროპული საქართველო	7	6	6	4	6	7
5	სხვა პარტია	6	5	4	4	5	6
6	არც ერთი პარტია	22	17	14	40	16	17
7	არ ვიცი/უარი პასუხზე	27	28	26	28	33	31

წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2017). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2017 წლის ივნისი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019

მონაცემები აჩვენებს, რომ ექვსიდან ხუთი პოლიტიკის მიმართულებით, ყველაზე ხშირად გამეორებული პასუხია „არ ვიცი/უარი პასუხზე“ ან „არც ერთი პარტია“. გამონაკლისია ჯანდაცვა – სფერო, სადაც ქართულმა ოცნებამ რეფორმები გაატარა და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა დანერგა. როგორც ირკვევა, ამ ცვლილებებს საზო-

გადოება დადებითად აფასებს, შესაბამისად მოსახლეობის 37% ქართულ ოცნებას ანდობს ჯანდაცვის სფეროს. თუმცა, თუ „არ ვიცი/უარი პასუხზე“ ან „არც ერთი პარტია“ პოზიციებს შევაჯამებთ (იმ რესპონდენტების ერთად განხილვა, ვინც ამ საკითხებს არც ერთ პარტიას არ ანდობს და ვინც კითხვას ვერ პასუხობს), მათი პროცენტუ-

<sup>8</sup> საზოგადოების პრიორიტეტებსა და იმაზე, თუ როგორ პასუხებენ პოლიტიკური პარტიები მათ საკუთარი პარტიული მანიფესტით, იხილეთ: კახიშვილი, ლ. (2017) „არის თუ არა დემოკრატია შესაძლებელი სტაბილური პოლიტიკური პარტიების გარეშე?“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/ge/6564/>

ლი წილი 40%-დან, ჯანდაცვის შემთხვევაში, 68%-მდე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში, მერყეობს.

ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ქართველ ამომრჩეველს არ სწამს, რომ პარტიები წარმოდგენილ სფეროებში კომპეტენტურები არიან ან ამომრჩევლებს უბრალოდ არ

შეუძლიათ მათი კომპეტენციების სათანადოდ განსჯა. ეს უკანასკნელი შესაძლოა პოლიტიკური პარტიების, მათი ფინანსების, აქტივობებისა და მიზნების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის შედეგი იყოს. თუმცა, როდესაც საქმე პოლიტიკური პარტიების მიზნებს ეხება, განხილვის საგანი კიდევ ერთი რწმენა – კეთილსინდისიერება ხდება.


**კეთილსინდისიერება**

იმისათვის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა საზოგადოების მაღალი ნდობა მოიპოვონ, ამომრჩეველს უნდა სწამდეს, რომ პოლიტიკური პარტიები იმ მიზნებისთვის იღწვიან, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. შესაბამისად, კეთილსინდისიერება, როგორც რწმენა, გამოხატავს მიმნდობის მიერ ნდობის ობიექტის შეფასება-განსჯას:

ნდობის ობიექტი ემსახურება მიმნდობის თუ სხვა სუბიექტის ინტერესებს. 2018 წლის დეკემბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც NDI-ის დაკვეთით ჩატარდა, წარმოადგენს მონაცემებს ამ შეკითხვებთან დაკავშირებით, რომელიც დიაგრამა 1-შია ასახული.

დიაგრამა 1: საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ინტერესები

**PPINTER: ვის ინტერესებს წარმოადგენენ ქართული პოლიტიკური პარტიები? (%)**



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის დეკემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>



როგორც მონაცემები აჩვენებს, საზოგადოების მხოლოდ 13%-ს მიაჩნია, რომ პოლიტიკური პარტიები კეთილსინდისიერები არიან – ე.ი. ემსახურებიან ამომრჩევლების ინტერესებს. ეს პოლიტიკური პარტიებისთვის შემამოფოთებელი მაჩვენებელია, თუ მათ საზოგადოების ნდობის მოპოვება სურთ. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გადაუწყვეტელი რესპონდენტები (არ ვიცე/უარი პასუხზე) მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს წარმოადგენენ. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები ემსახურებიან ან საკუთარ ინტერესებს – 44%, ან მათი ლიდერების ან/და დამფინანსებლების ინტერესებს – 31%. ეს ორი პასუხი ოთხიდან სამი ამომრჩევლის აზრს წრმოადგენს. აღნიშნული მონაცემები ორ პრობლემაზე მიუთითებს: პოლიტიკურ პარტიებს რეალურად არ შეუძლიათ საზოგადოების ინტერესების გამოხატვა ან კომუნიკაცია პარტიებსა და ამომრჩევლებს

### პატიოსნება

თუკი ნდობის ობიექტი აღიქმება როგორც სანდო და პირობის შემსრულებელი პირი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – პატიოსანი პირი, მიმდნობს შეუძლია, მისი იმედი ქონდეს, რაც ნდობის მაღალ ხარისხს განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში არ არის წარმოდგენილი მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ განსჯიან მოქალაქეები პოლიტიკური პარტიების პატიოსნებას საქართველოში, მაინც შესაძლებელია დაპირებების მნიშვნელობის გარკვევა მაშინ, როდესაც ამომრჩევლები წყვეტენ თუ როგორ მისცენ ხმა არჩევნებზე. ამასთან, არსებობს მონაცემები პოლიტიკურ პარტიებში კო-

შორის არაეფექტურია. ორივე პრობლემა მიაჩნია იმაზე, რომ საქართველოში პარტიასა და ამომრჩევლებს შორის სუსტი ურთიერთკავშირია.

ამასთან, პოლიტიკური პარტიების კეთილსინდისიერებაზე ცუდად მოქმედებს უარყოფითი კამპანიები. უარყოფითი კამპანია გულისხმობს კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის მხრიდან ყურადღების გამახვილებას ოპონენტების ნაკლოვან მხარეებზე იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებას გააცნონ ის, თუ თვითონ რისი გაკეთება შეუძლიათ. 2018 წლის ივნისის NDI-ის გამოკითხვის მიხედვით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ოთხიდან სამ გამოკითხულს მიაჩნდა, რომ კანდიდატებმა ცოტა დრო უნდა დაეთმოთ ან საერთოდ არ უნდა დახარჯონ დრო კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კრიტიკაზე.<sup>9</sup> კვლევები აჩვენებს, რომ უარყოფითი კამპანია პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობას ამცირებს.<sup>10</sup>

რუფციის დონის აღქმაზე, რომელიც ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც პატიოსნების შესაძლო ინდიკატორი.


დიაგრამა 2-ში წარმოდგენილია მონაცემები ქართველი ამომრჩევლებისთვის წინასაარჩევნო პლატფორმებისა და დაპირებების მნიშვნელობის შესახებ. მონაცემების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის, წინასაარჩევნო დაპირებები მუდმივად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როდესაც ამომრჩეველი გადაწყვეტილებას იღებს იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მისცეს ხმა.

<sup>9</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2018). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის ივნისი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.

<sup>10</sup> Ceka, B. (2012). "The Perils of Political Competition: Explaining Participation and Trust in Political Parties in Eastern Europe". *Comparative Political Studies*. 46(12), 1610-1635. DOI: 10.1177/0010414012463908.



დიაგრამა 2: წინასაარჩევნო პლატფორმებისა და დაპირებების მნიშვნელობა ამომრჩევლებისთვის



წყარო: ავტორის გამოთვლები მონაცემების ხუთი ბაზის საფუძველზე<sup>11</sup>

აღნიშნული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ პატიოსნება მნიშვნელოვანია ქართველი ამომრჩევლისთვის, თუმცა არ იძლევა პოლიტიკური პარტიების პატიოსნების აღქმის შესახებ წარმოდგენის შექმნის საშუალებას, რისთვისაც სხვა ტიპის მონაცემები იქნებოდა საჭირო. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეების მხრიდან პოლიტიკურ პარტიებში კორუფციის აღქმის ინდიკატორმა შეიძლება მიაღწიოს საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური პარტიების

პატიოსნების ზოგად აღქმაზე. საინტერესოა, რომ 2018 წლის დეკემბრის NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, ისინი, ვისაც მიაჩნიათ, რომ პოლიტიკურ პარტიებში კორუფცია არ არსებობს, მოსახლეობის 14%-ს წარმოადგენენ, თუმცა საზოგადოების, თითქმის, ნახევარს – 46%-ს – მიაჩნია, რომ პოლიტიკურ პარტიებში გარკვეულწილად არის კორუფცია.<sup>12</sup>

<sup>11</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2015). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2015 წლის ნოემბერი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2016). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ივნისი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2016b). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ნოემბერი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2016c). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ნოემბერი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2017 წლის ივნისი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.

<sup>12</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2018). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის დეკემბერი“ აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.

რასაკვირველია, შეუძლებელია იმ ინსტიტუტების ნდობა, რომელიც კორუმპირებულ ინსტიტუტებად აღიქმება. საქართველოში პოლიტიკური პარტიების შიდა საქმიანობის

შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა გავლენას ახდენს საზოგადოების მხრიდან ნდობაზე, რაც დასტურდება ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.

### პროგნოზირებადობა

კიდევ ერთი რწმენა, რომელიც ზრდის ნდობის ხარისხს არის ნდობის ობიექტის პროგნოზირებადობა, რაც გულისხმობს იმას, თუ რამდენად შეუძლია მიმდობს წინასწარ განსაზღვროს ნდობის ობიექტის კარგი ან ცუდი ქმედებები. პატიოსნების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც შეფასება მხოლოდ მიახლოებული ინდიკატორის დახმარებითაა შესაძლებელი, რადგან არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება პოლიტიკური პარტიების პროგნოზირებადობას საქართველოში. თუმცა, შესაძლებელია იმის განხილვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამომრჩევისთვის პარტიის წარსული საქმიანობა.

2015-2017 წლებში NDI-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ხუთი სხვადასხვა კვლევა<sup>13</sup> აჩვენებს, რომ პოლიტიკური პარტიის წარსული საქმიანობა ამომრჩევისთვის წინასწარჩვენო დაპირებებზე მნიშვნელოვანია. რესპონდენტების 65%-74%-ისთვის პოლიტიკური პარტიების წარსული საქმიანობა მათ წინასწარჩვენო დაპირებებთან შედარებით უფრო პრიორიტეტულია. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება ენდობა უკეთესი შედეგის მაჩვენებელ პოლიტიკურ პარტიებს. შესაბამისად, საკუთარი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისას პოლიტიკურმა პარტიებმა ეს განწყობები მხედველობაში უნდა მიიღონ.

## ნდობის ინსტიტუციური განზომილება: არიან თუ არა პარტიები საკმარისად ინსტიტუციონალიზებული ნდობის წასახალისებლად?

არსებობს რწმენა, რომ ძლიერი ინსტიტუტები პოლიტიკური ნდობის ხარისხის ზრდას უწყობენ ხელს.<sup>14</sup> ამ იდეის ლოგიკა ისაა, რომ ინსტიტუტები ქმნიან გარანტიებს, კონტრაქტებს, რეგულაციებს, წესებსა და პროცედურებს, რაც პირობების

შესრულებას ან სარისკო საქმიანობის წარმატებას განაპირობებს. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აღიქმებოდნენ როგორც ძლიერი ინსტიტუტები. ამის მიღწევა შესაძლებელია უფრო გამჭვირვალე გადანყვეტილების

<sup>13</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2015). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის ნოემბერი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2016a). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის ივნისი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2016b). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის მარტი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2016c). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ნოემბერი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2017 წლის ივნისი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.

<sup>14</sup> McKnight, D.H. and N.L. Cherrany. (2001). "Trust and Distrust Definitions: One Bite at a Time". In: R. Falcone, M. Singh, and Y.-H. Tan (Eds.): *Trust in Cyber-societies*. Springer-Verlag: Berlin Heidelberg.

მიღების პრაქტიკის განვითარებით, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორცაა პოლიტიკის პლატფორმის შემუშავება, კანდიდატის ნომინირება ან ახალი ნევრების მიღება. მონაცემები აჩვენებს, რომ პარტიები არ აღიქმებიან, როგორც ძლიერი ინსტიტუტები, რომლებიც დამცავი სტრუქტურების ფუნქციას შეითავსებდნენ.

2017 წლის ივნისის NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევაში,<sup>15</sup> რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა, თუ ვისი აზრი იყო მნიშვნელოვანი იმის შესაფასებლად, კარგად ჩატარდა თუ არა საქართველოში არჩევნები. რესპონდენტებს ათიდან სამი ვარიანტის არჩევა შეეძლოთ. ყველაზე ხშირად არჩეული პასუხი იყო „ჩემი საკუთარი აზრი“ — რესპონდენტების 46% პროცენტი ამბობს, რომ მათი საკუთარი აზრი ყველაზე მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კარგად ჩატარდა არჩევნები. ცენტრალური საარჩევნო კომისია და უცხოელი დამკვირვებლები რიგით მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ, 23-23 პროცენტით. იმ პოლიტიკური პარტიების აზრს, რომელთაც რესპონდენტები მხარს უჭერდნენ, მხოლოდ 16%-იანი მაჩვენებელი აქვს. ეს მონაცემები მიანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობა ინსტიტუტებზე მეტად საკუთარ წარმოდგენას ანიჭებს უპირატესობას, რაც პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტეზე მეტყველებს.

ამასთან, ინსტიტუციონალიზაციის ნაცვლად, პოლიტიკური პარტიების პერსონალიზაციის ხაზგასასმელად, შესაძლოა განვიხილოთ კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია ამომრჩევლისთვის – კანდიდატი, თუ ის პარტია, რო-

მელიც კანდიდატს წარადგენს. 2017 წლის გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტების 50%-ისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო მერობის კანდიდატი, ვიდრე ის პარტია, რომელიც კანდიდატს წარადგენდა.<sup>16</sup> შესაბამისად, თუ საქართველოში პოლიტიკური პარტიები მიზნად ისახავენ ინსტიტუტებად ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო დიდხანს შეძლებს არსებობას, ვიდრე ერთი კონკრეტული პოლიტიკური ლიდერი, მნიშვნელოვანია მათი მეტად ინსტიტუციონალიზაცია, გამჭვირვალობა და მხარდამჭერებთან ძლიერი კავშირის ჩამოყალიბება.

მონაცემები იმის შესახებ, რომ საზოგადოების მიერ პოლიტიკური პარტიები აღქმულია, როგორც ინსტიტუციურად და პროგრამულად ერთმანეთის მსგავსი, მოიპოვება 2018 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში, სადაც კითხვაზე: „თქვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია თუ საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი, თუ რომელი პარტია იქნება ხელისუფლებაში?“ ხუთიდან ორ რესპონდენტს მიაჩნია, რომ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ეკონომიკის განვითარებისთვის (დიაგრამა 3). ეს შედეგი ორნაირად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული. ოპტიმისტური ინტერპრეტაციით შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ქართველი ამომრჩევლის 42%-ს მიაჩნია, რომ ყველა პარტია საკმარისად კეთილსინდისიერია იმისათვის, რომ სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს. პესიმისტური და, ალბათ, უფრო რეალისტური ინტერპრეტაციით, საზოგადოება ვერ ხედავს მნიშვნელოვან განსხვავებებს პოლიტიკურ

<sup>15</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2017 წლის ივნისი“ აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.


<sup>16</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2017 წლის ივნისი“. აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე <http://caucasusbarometer.org> წვდომის თარიღი 08.02.2019.

პარტიებს შორის მათი იდეოლოგიური პროგრამების თვალსაზრისით, რაც პარტიებსა

და ამომრჩევლებს შორის არაჯანსაღ დისტანცირებას იწვევს.

დიაგრამა 3: აქვს თუ არა მნიშვნელობა რომელი პარტია იქნება ხელისუფლებაში?

**GPMDIFEC: საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, თუ არ არის მნიშვნელოვანი, რომელი პარტია იქნება ხელისუფლებაში? (%)**



როგორც კვლევები აჩვენებს, პოლიტიკურ პარტიასა და მის მხარდამჭერებს შორის სიახლოვის ხარისხი, შესაძლოა, დაბალი პოლიტიკური ნდობის უკეთესი ინდიკატორი იყოს, ვიდრე მხარდამჭერების მთლიანი რაოდენობა.<sup>17</sup> შესაბამისად, როდესაც ამომრჩევლები არ გრძნობენ ძლიერ კავშირს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან, შესაძლებლობა იმისა, რომ საზოგადოებას

პოლიტიკური სისტემის მიმართ დაბალი ნდობა ქონდეს, უფრო მაღალია.<sup>18</sup> ამდენად, პოლიტიკურმა პარტიებმა საქართველოში პრიორიტეტად საკუთარ მხარდამჭერებთან ახლო კავშირების დამყარება უნდა დაისახონ, რადგან ნდობის, როგორც პოლიტიკური ფენომენის, ასახსნელად, მხარდამჭერებთან კავშირის ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მხარდამჭერების რაოდენობა.

<sup>17</sup> Hooghe, M. and A. Kern. (2015). "Party Membership and Closeness and the Development of Trust in Political Institutions: An Analysis of the European Social Survey, 2002-2010". *Party Politics*. 21(6), 944-956. DOI: 10.1177/1354068813509519.

<sup>18</sup> Hooghe, M. and A. Kern. (2015). "Party Membership and Closeness and the Development of Trust in Political Institutions: An Analysis of the European Social Survey, 2002-2010". *Party Politics*. 21(6), 944-956. DOI: 10.1177/1354068813509519.

## დასკვნა: როგორ უნდა გაიზარდოს ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ?

წინამდებარე დოკუმენტში ნაჩვენებია, რომ საქართველოში საზოგადოება არ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს, ამის მიზეზი კი ნდობის ორი განზომილებით აიხსნება. პირველი, ქართველ ამომრჩეველს სჯერა, რომ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ საკმარისი კომპეტენცია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა პოლიტიკური სფეროები მართონ; რომ პარტიები ძირითადად საკუთარ ან საკუთარი ლიდერის ან/და დამფინანსებლების ინტერესებს ატარებენ; რომ პოლიტიკური პარტიების პატიოსნება და პროგნოზირებადობა მნიშვნელოვანია ხმის მიცემის დროს არჩევანის გაკეთებაში. და მეორე, პარტიები არ აღიქმებიან, როგორც საკმარისად ინსტიტუციონალიზებული ორგანიზაციები, რომლებიც გაცემულ პირობებს შეასრულებენ და შესაბამის ცვლილებებს გაატარებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. წარმოდგენილი მო-

ნაცემები მიანიშნებს იმაზე, რომ პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის სუსტი ურთიერთკავშირია და რომ საზოგადოებას არ ესმის პოლიტიკური პარტიების შიდა სამუშაო პროცესი გამჭვირვალობის არარსებობის პირობებში. ეს ფაქტორები პოლიტიკის მიმართ საზოგადოების იმედგაცრუებასა და პარტიებში განწევრიანებას ან/და პარტიებისთვის მუშაობის სურვილის არარსებობას იწვევს. ეს კი პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ ხარისხზე მიანიშნებს, რაც საქართველოში ახალგაზრდა დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესს უქმნის საფრთხეს. შესაბამისად, აუცილებელია სხვადასხვა დაინტერესებულმა პირებმა, პირველ რიგში კი პოლიტიკურმა პარტიებმა პოლიტიკის მიმართ ნდობის გაჩენისთვის იმუშაონ. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები.



## რეკომენდაციები

### პოლიტიკური პარტიებისთვის:

○ **გაძლიერდეს ამომრჩეველთან კავშირი იდეოლოგიურად თანმიმდევრული პოლიტიკის პლატფორმის შემუშავებით, დაპირებების ნათლად და გასაგებად კომუნიკაციითა და, ზოგადად, იდეოლოგიური თვალსაზრისით პროგნოზირებადობით** – როგორც საზოგადოებრივი აზრის კვლევების მონაცემები აჩვენებს, წინა საარჩევნო დაპირებები საქართველოში ამომრჩეველთა არჩევანის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის არსებობს ცდუნება, გასცენ ოპორტუნისტული და პოპულისტური დაპირებები, პარტიებმა მეთოდურად უნდა იმოქმედონ იმისათვის, რომ თითოეული პარტია აღიქმებოდეს, როგორც პროგნოზირებადი პარტია, რაც ნდობის მაღალ ხარისხსა და სასურველ საარჩევნო ქცევას განაპირობებს.

○ **შექმნან კომპეტენტური და კეთილსინდისიერი პარტიის პორტფოლიო, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ითვალისწინებს** – საქართველოში საზოგადოებას მიაჩნია, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები მოქმედებენ არა საზოგადოებრივი, არამედ საკუთარი ინტერესებისთვის. ამასთან, მოქალაქეებს დაბალი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკური პარტიების კომპეტენციებზე ყველაზე მნიშვნელოვან სფეროებში. საზოგადოებრივი ნდობის მოსაპოვებლად, მნიშვნელოვანია, რომ პარტიები საზოგადოების ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ, რაც საკუთარი პოლიტიკური პლატფორ-

მითაა განსაზღვრული (იხილეთ წინა რეკომენდაცია). თუმცა, ამავდროულად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა პარტიამ მკაფიოდ შეძლოს საზოგადოებასთან კომუნიკაცია საკუთარი საქმიანობისა და ქართველი ამომრჩევლის ცხოვრების გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ეს მოქალაქეებს დაეხმარება, უკეთ განსაჯონ პარტიების წარსული საქმიანობა, რაც საქართველოში საარჩევნო ქცევის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორია.

○ **გაზარდონ საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობა ინსტიტუციონალიზაციის გზით** – ქართველი ამომრჩევლის, დაახლოებით, ნახევარს მიაჩნია, რომ პოლიტიკურ პარტიებში გარკვეული დოზით კორუფცია არსებობს. ეს ვნებს პარტიების კეთილსინდისიერების აღქმას, ვინაიდან ამომრჩეველი ვერ აფასებს, რამდენად რეალურად გასცემს პარტია საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებებს და რამდენად შეუძლია მას ამ დაპირებების შესრულება. კვლევა აჩვენებს, რომ მეტად ინფორმირებულ მოქალაქეებს უფრო მეტი ნდობა აქვთ პოლიტიკური პარტიების მიმართ. გამჭვირვალობის დონის გაზრდა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ ღია კომუნიკაცია - პარტიების მეტაფორული შავი ყუთის გახსნა - მოქალაქეებს დაეხმარებათ ნდობის ჩამოყალიბებაში. ასევე აუცილებელია, რომ პარტიებმა მოახდინონ ისეთი პროცედურების ინსტიტუციონალიზაცია, როგორიცაა კანდიდატის

ნომინირების, პარტიაში განევრიანები-  
სა და სხვა გადაწყვეტილების მიღების  
პროცესების გამჭვირვალობა.

- **საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერების ხელშეწყობა** – კვლევის მიხედვით, მოქალაქეების ნდობა იზრდება მაშინ, როდესაც ისინი პოტენციური ნდობის ობიექტის ღირებულებებს იზიარებენ. ნებისმიერი იდეოლოგიის წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიები, როგორც წარმატებული დემოკრატიული მმართველობის მთავარი გასაღები, უნდა იზიარებდნენ დემოკრატიულ ღირებულებებს. ამასთან, მათ ხელი უნდა შეუწყონ ამავე ღირებულებების საზოგადოებაში გაძლიერებას იმისათვის, რომ მოქალაქეებმა პარტიები საკუთარ იდეოლოგიასთან ახლოს მდგომ სუბიექტებად აღიქვან. არსებული კვლევის მიხედვით, დემოკრატია

პოლიტიკურ პარტიების მიერ საკმარისად პრიორიტეტიზებული არაა, რაც მნიშვნელოვანია რომ შეიცვალოს.

- **შემცირდეს ნეგატიური წინასაარჩევნო კამპანია** – გამოკითხვები აჩვენებს, რომ საქართველოში საზოგადოებას არ მოწონს, როდესაც კანდიდატები სხვა პარტიებს აკრიტიკებენ. შესაბამისად, ნეგატიური კამპანია პოლიტიკურ მეინსტრიმში მარგინალიზებული უნდა იყოს. პოლიტიკური პარტიები ყურადღებას საკუთარ პოლიტიკაზე უნდა ამახვილებდნენ კონკურენტების დისკრედიტაციის ნაცვლად. ამგვარი მიდგომა საბოლოოდ გაზრდის ნდობის მაჩვენებელს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კამპანიის დროს არ უნდა მოხდეს სათანადო კრიტიკა, თუმცა თავმოყვარე პოლიტიკური პარტია და კანდიდატი ყურადღებას მხოლოდ ოპონენტის კრიტიკაზე არ უნდა ამახვილებდეს.

### **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კვლევითი ორგანიზაციებისათვის საქართველოში:**

- **მოამზადონ თითოეული საპარლამენტო პარტიის ანგარიშვალდებულების შესახებ ანგარიში** – თითოეული საპარლამენტო პოლიტიკური პარტიის საქმიანობის შეფასება მათი წინასაარჩევნო დაპირებების მიხედვით, განსაკუთრებით საჭიროა მოქალაქეების მიერ ნდობის ოთხივე განზომილების – კომპეტენციის, კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და პროგნოზირებადობის განსასჯელად. ამასთან, ეს ხელს შეუწყობს პარტიული პოლიტიკის გამჭვირვალობას. შესაბამისად, ამგვარი კვლევების საზოგადოებასთან ეფექტურ კომუნიკაციას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ქონდეს ქართველი ამომრჩევლის ცნობიერების დონეზე.

- **რეგულარული საინფორმაციო კამპანიებითა და პარტიული პოლიტიკის კვლევით, ხელი შეუწყონ საქართველოში პოლიტიკის გამჭვირვალობას** – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და კვლევით ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება აქვთ ქართულ პარტიულ პოლიტიკაში. შესაბამისად, ამ გამოცდილების გამდიდრება და საზოგადოებასთან მისი ეფექტური კომუნიკაცია მოქალაქეებს საკუთარი ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარება, რაც ნდობის გაზრდას შეუწყობს ხელს. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გამომწვევად რჩება ის, რომ საზოგადოების ნდობა ამ ორგანიზაციების მიმართაც დაბალია.

- ხელი შეუწყონ კონსტრუქციულ განხილვებს და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ნეგატიურ კამპანიებთან დაკავშირებით – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და კვლევით ორგანიზაციებს აქვთ პოტენციური მოახდინონ უარყოფითი კამპანიის შემთხვევების იდენტიფიცირება და შეიმუშაონ რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ არის შეს-

აძლებელი ყურადღება გამახვილდეს პოზიტიურ დაპირებებზე პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის ნაცვლად. ამისათვის, მნიშვნელოვანია თითოეული საარჩევნო ციკლის პერიოდში მოხდეს პარტიების პოლიტიკური პლატფორმების ანალიზი და იმის გარკვევა, თუ რამდენადაა თანხვედრაში პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული საჯარო განცხადებები შესაბამისი პარტიის პროგრამასთან.

### დონორი ორგანიზაციებისთვის:

- ხელი შეუწყონ საქართველოში პარტიული პოლიტიკის მიმართ ნდობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების ჩატარებას – ნდობის ოთხი განზომილების – კომპეტენციის, კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და პროგნოზირებადობის კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოში პოლიტიკური ნდობის ფენომენის უკეთ გააზრებას.
- ხელი შეუწყონ ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელთა მიზანია პოლიტიკური პარტიების, მათი საქმიანობისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზების შესწავლა საქართველოში – პოლიტიკური პარტიების, როგორც

წარმომადგენლობითი დემოკრატიის წამყვანი ინსტიტუტების, შესახებ კვლევები საქართველოში უაღრესად ცოტაა. პოლიტიკური პარტიების კვლევის ნახალისება ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კვლევით ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს გაიღრმონ ცოდნა ამ საკითხის გარშემო. თუმცა, ყველა ამ პროექტს უნდა ჰქონდეს კომუნიკაციის ძლიერი კომპონენტი იმისათვის, რომ კვლევის შედეგებმა ქართველ ამომრჩევლამდე მიაღწიოს და დაეხმაროს მათ საკუთარი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში პარტიული პოლიტიკის შესახებ.

პოპულისტური ნაციონალიზმი  
საქართველოში: როგორია მისი  
გავლენა საქართველოს ევროპული  
ინტეგრაციის პროცესზე?

გიგინა ლეგანიძე<sup>1</sup>





## შინაარსი

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში გაანალიზებულია თუ რამდენად ახდენს გავლენას პოპულისტური ნაციონალიზმის მზარდი ტენდენცია საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესზე. ნორმატიული კუთხით, საქართველოში პოპულისტური ნაციონალისტური დისკურსი თავისთავად ევროსკეპტიკურია, რადგანაც იგი თავს იმკვიდრებს პროგრესულ და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებებულეებთან წინააღმდეგობით, რომლებიც ევროკავშირის განუყოფილ ნორმებს წარმოადგენენ. თუმცა, პრაქტიკულ დონეზე, ამ დრომდე მისი გავლენა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე უმნიშვნელოა. საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებს შორის კვლავაც ყველაზე პროევროპულ სახელმწიფოდ რჩება, სადაც მოსახლეობის 80% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გან-

ევრიანებას. არც საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ პოპულისტური ნაციონალიზმის წამახალისებელ სადავო ნაბიჯებს დაუზიანებია მნიშვნელოვნად ქვეყნის ევროკავშირთან ფუნქციური და ინსტიტუციური დაახლოების პროცესი. მიუხედავად ამისა, გრძელვადიან პერსპექტივაში, პოპულისტური ნაციონალიზმის გაძლიერებამ შესაძლოა ძირი გამოუთხაროს საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის ნორმატიულ და ფუნქციურ საფუძვლებს ისე, როგორც ეს სხვა ქვეყნებში უკვე მოხდა. ამ პროცესმა შესაძლოა შეასუსტოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა საქართველოს მოქალაქეებს შორის და ხელი შეეწყოს პოპულისტური ევროსკეპტიკური დღის წესრიგის გავლენის გაძლიერებას მთავრობასა და სხვა აქტორებზე, რომლებიც ქვეყნის რეფორმირების პროცესში არიან ჩართული.

## პოპულისტური სპექტრის კლასიფიკაცია საქართველოში

ბოლო წლებში საქართველოში მომძლავრდა პოპულისტური ნაციონალისტური სენტიმენტები. ბევრი სხვა ევროპული ქვეყნის მსგავსად, პოპულისტი ნაციონალისტი მოთამაშეები აქტიურად ახდენენ ქვეყნის პოლიტიკური გარემოს ფორმირებას და ტრადიციულ პოლიტიკურ პარტიებს უზარმაზარი წნეხის ქვეშ ამყოფებენ. საქართველოს პოპულისტური სპექტრი სამი ტიპის აქტორისგან შედგება: **პოლიტიკური ჯგუფები, საზოგადოებრივი ჯგუფები და მედია აქტორები**. მიუხედავად იმისა, რომ

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ნაციონალისტურ პოპულისტურ მოთამაშედ არ აღიქმება, სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის მოქმედებები და ლექსიკა ქვეყანაში პოპულისტური დღის წესრიგის მომძლავრებას უწყობს ხელს.

ბევრი ანალიტიკოსი პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორად, ოპოზიციურ პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსს მიიჩნევს,<sup>2</sup> რომელიც ბოლო არჩევნებში შემდეგ საქართველოს პარლამენტში

<sup>1</sup> ბიძინა ლებანიძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) უფროსი ანალიტიკოსი.

<sup>2</sup> Michael Cecire, "The Kremlin Pulls on Georgia. It's time for the West to stop taking Tbilisi for granted.," 2015, <https://foreignpolicy.com/2015/03/09/the-kremlin-pulls-on-georgia/>, accessed March 2019; Tamar Khorbaladze, "Homophobia and gender identity," 2015, [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Homophobia-ENG-web%20\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Homophobia-ENG-web%20(1).pdf), accessed March 2019; Adriana Stephan, "Defining the far right in Georgia: From neo-fascists to populist parties," 2018, <http://gip.ge/defining-the-far-right-in-georgia-from-neo-fascists-to-populist-parties/>, accessed March 2019; Tornike Zurabashvili, "Georgia: the Populist Break-in," 2016, <https://old.civil.ge/eng/article.php?id=29626>, accessed March 2019.

მენტშიც არის წარმოდგენილი. სხვა პარტიებს შორის, რომლებიც პოპულისტურ ნაციონალისტურ პარტიებად აღიქმებიან, არიან დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო, თავისუფალი საქართველო და სხვა მცირე ზომის პარტიები<sup>3</sup>. მმართველი პარტია ქართული ოცნება არ ჯდება პოპულისტურ ნაციონალისტურ ნარატივში, თუმცა პარტიის ზოგიერთი მოქმედი და ყოფილი პარლამენტარები ხშირად გამოირჩევიან პოპულისტური და ქსენოფობიური რიტორიკით.<sup>4</sup> ქართულ ოცნებას ასევე ხანდახან ბრალს სდებენ პოპულისტური ჯგუფების ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი არაადეკვატურად რბილ მიდგომაში.<sup>5</sup> ამასთან, ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მმართველი პარტიის ხელისუფლებასა და პოპულისტურ ჯგუფებს შორის ერთგვარი შეფარული კავშირი არსებობს. ქართული ოცნების დამაარსებელმა და თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა თავის დროზე დემოკრატიული მოძრაობა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი დაახასიათა, როგორც მესამე ძალა ქართულ პოლიტიკაში,<sup>6</sup> რითიც ამ ორი ოპოზიციური პოპულისტური პარტიის ლეგიტიმაციას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა 2018 წელს ღიად დაუჭირა მხარი ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატს და ოპოზიციური

კანდიდატის საწინააღმდეგოდ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ჩაერთო.

პოლიტიკურ პარტიების მომძლავრების პარალელურად ძალას იკრებენ პოპულისტური საზოგადოებრივი მოძრაობებიც. უკვე არსებობს არაერთი კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც მარტივად შეუძლია ათასობით ადამიანის მობილიზება და პოპულისტური მოთხოვნების გასაჟღერებლად საკმარისი მხარდამჭერების შეკრება. პოლიტიკური მოძრაობა „ქართული მარში“ პოპულისტური ნაციონალისტური სპექტრის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოთამაშეა. ორგანიზაციამ, რომელსაც ფეისბუქზე დაახლოებით 20,000 მიმდევარი ჰყავს,<sup>7</sup> ორგანიზება გაუწია იმიგრანტების, ლიბერალური ნარკო პოლიტიკისა და უმცირესობათა უფლებების საწინააღმდეგო აქციებს და მონაწილეობდა ჟურნალისტებისა და პროგრესული სოციალური აქტივისტების წინააღმდეგ ძალადობრივ მოქმედებებში.<sup>8</sup> არსებობს ასევე სხვა მცირე ზომის ორგანიზაციები და საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელთაც პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ. და ბოლოს, პოპულისტური ნაციონალისტური დისკურსის ხილვადობა საზოგადოებაში უზრუნველყოფილია სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმისა და სატელევიზიო მედიის

<sup>3</sup> Tamar Khorbaladze, “Homophobia and gender identity,” 2015, [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Homophobia-ENG-web%20\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Homophobia-ENG-web%20(1).pdf), accessed March 2019.

<sup>4</sup> რამდენიმე მაგალითისთვის იხილეთ: DFWatch, “Georgian MP wants ‘sexual orientation’ deleted from anti-discrimination law,” 2015, <https://dfwatch.net/mp-wants-sexual-orientation-deleted-from-anti-discrimination-law-38333>, accessed March 2019; Tamar Khorbaladze, “Homophobia and gender identity,” 2015, [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Homophobia-ENG-web%20\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Homophobia-ENG-web%20(1).pdf), accessed March 2019.

<sup>5</sup> Thea Morrison, “Georgian NGOs: ‘Inadequate’ Reaction from State Encourages Extremist Groups,” Georgia Today, 2018, <http://georgiatoday.ge/news/9579/Georgian-NGOs-Claim-%E2%80%9CInadequate%E2%80%9D-Reaction-from-State-Encourages-Extremist-Groups>, accessed March 2019; Zaza Abashidze, “The Georgian March against migrants and NATO,” Jam news, 2018, <https://jam-news.net/the-georgian-march-against-migrants-and-nato/>, accessed March 2019.

<sup>6</sup> Civil Georgia, “Local Elections Boost Alliance of Patriots Ambitions for Parliamentary Polls,” 2014, <https://old.civil.ge/eng/article.php?id=27395>, accessed March 2019.

<sup>7</sup> წყარო: Facebook.com, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/qartulimarshi/> (wvdomis TariRi 2 marti 2019).

<sup>8</sup> Zaza Abashidze, “The Georgian March against migrants and NATO,” Jam news, 2018, <https://jam-news.net/the-georgian-march-against-migrants-and-nato/>, accessed March 2019.

საშუალებით. ტელეარხი „ობიექტივი“ მუდმივად უთმობს საეთერო დროს პოპულისტური ნაციონალისტური საკითხების პოპულარიზაციას. ასევე არსებობს არაერთი ჯგუფი და გვერდი ფეისბუქზე, რომელთაც ათასობით მიმდევარი ჰყავთ<sup>9</sup> და სოციალურ მედიაში ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ანტი-დასავლური შინაარსის შემცველ მასალას ავრცელებენ.

ევროკავშირის ნევრი ქვეყნების მსგავსად, საქართველოში პოპულისტური<sup>10</sup> ნაციონალიზმის საფუძვლები რთულ სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობასა (სიღარიბე, უმუშევრობა და უთანასწორობა) და ეროვნულ-კულტურული იდენტობის დაკარგვის შიშით გამოწვეულ მღელვარებაშია.<sup>11</sup> თუმცა, მიუხედავად იმისა რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ზოგჯერ მთავრობის მიმართ საზო-

გადოებრივი უკმაყოფილების მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორია, პოპულისტური ნაციონალისტი მოთამაშეების მხრიდან გაჟღერებული პოპულარული ნარატივი ძირითადად იდენტობისა და კულტურული საკითხების გარშემო ტრიალებს. შესაბამისად, ნაციონალისტურ-პოპულისტური ნარატივი საქართველოში ძირითადად სამი ასეთი საკითხის ირგვლივ ტრიალებს: ანტილიბერალიზმი, ქსენოფობია და შეფარული ანტიდასავლურობა. ეს სამი დისკურსი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და სხვადასხვა გზით ერთიმეორის გაძლიერებას უწყობენ ხელს. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურადაა განხილული აღნიშნული სამი დისკურსი და გაანალიზებულია მათი გავლენა ევროკავშირთან საქართველოს ღირებულებით და ფუნქციურ დაახლოებაზე და ზოგადად, დემოკრატიზაციის პროცესზე.

## პოპულისტური ნაციონალიზმის მთავარი დისკურსები საქართველოში

### ანტილიბერალიზმი

პოპულისტურ ნაციონალისტურ ნარატივს საზოგადოებრივ დონეზე გარკვეული საფუძვლები ქართულ საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებულ ტრადიციულ ღირებულებებში აქვს. როგორც ბევრი სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა, საქართველოშიც ღრმად კონსერვატიული საზოგადოებაა, მძლავრი ოჯახისა და ტრადიციული ღირებულებებით (ცხრილი 1). საქართველოში

ევროსკეპტიკურად განწყობილი აქტორები ცდილობენ საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ ქართველი მოსახლეობის ძლიერი კონერვატიული განწყობები და ევროკავშირს, როგორც ამორალურ, ზნედაცემულ და ტრადიციული ღირებულებების მოწინააღმდეგე აქტორად წარმოაჩინენ.<sup>12</sup> მაგალითად, სექსუალური უმცირესობების მიმართ ღრმა საზოგადოებრივი წინააღმდე-

<sup>9</sup> მაგალითად, ფეისბუქ გვერდს „ანტი-ლიბერალური კლუბი“ ყავს 50,595 მიმდევარი, ხოლო ქართულ იდეას 64,147 მიმდევარი. ასევე არსებობს ათზე მეტი ფეისბუქ ჯგუფი 10,000-ზე მეტი მიმდევარით. წყარო: ყველა მონაცემის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე (წვდომის თარიღი 2 მარტი 2019).

<sup>10</sup> წინამდებარე დოკუმენტში პოპულიზმის ტერმინის ქვეშ მოიაზრება ულტრა-მემარჯვენე და მემარჯვენე პოპულიზმი. მემარცხენე პოპულიზმი, რომელიც ასევე ფართოდაა საქართველოში გავრცელებული, ამ დოკუმენტის განხილვის ფარგლებს მიღმაა.

<sup>11</sup> Francis Fukuyama, “The Rise of Populist Nationalism,” 2018, <https://www.credit-suisse.com/corporate/en/articles/news-and-expertise/francis-fukuyama-the-rise-of-populist-nationalism-201801.html>, accessed March 2019.

<sup>12</sup> Nelli Babayan et al., “10 Years of the ENP - The Way Forward with the EaP,” 2015, [http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap\\_policy\\_brief\\_01.pdf](http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap_policy_brief_01.pdf), accessed January 2016.

გობის გათვალისწინებით, ისინი ცდილობენ ევროკავშირი წარმოაჩინონ როგორც „მხოლოდ და მხოლოდ ლგბტ-ის წამახალისებელი საზოგადოება.“<sup>13</sup> ერთ-ერთი ანგარიშის მიხედვით, სადაც ასახულია ანტიდასავლური პროპაგანდა საქართველოში 2016 წლის განმავლობაში, ანტილიბერალური მედია საშუალებების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი აქტორების მიერ გამოქვეყნებული 1258 ანტიდასავლური გზავნილის ერთ მესამედზე მეტი იდენტობისა და ღირებულებების საკითხს ეხება.<sup>14</sup> კვლევის მიხედვით, მთავარ გზავნილებში დასავლეთი წარმოჩენილია როგორც მხარე, რომელიც „ჰომოსექსუალობასა“ (232-ჯერ ნახსენები) და სხვა „მიუღებელ ღირებულებებს“ (64-ჯერ ნახსენები) ახვევს თავს საქართველოს, ასევე ებრძვის „მართლმადიდებლობას“ (28) და საქართველოს „ეროვნულ თვითმყოფადობას და ტრადიციებს“ (48).<sup>15</sup>

ზოგიერთი გზავნილის მიხედვით კი დასავლეთი ცდილობს საქართველოს „ინცესტი, პედოფილია, ზოოფილია, გარყვნილი ცხოვრების წესი“ (21) მოახვიოს თავს.<sup>16</sup> მსგავსი პროპაგანდის შედეგად წარმოიშვა გარკვეული ღირებულებითი შეუთავსებლობა, რასაც ქართული საზოგადოების ნაწილი წინააღმდეგობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმატიულ საფუძვლებთან. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეების ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებას, სშირად იშველიებს არგუმენტს, რომ ეს „საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ეროვნული იდენტობას“ (24%)<sup>17</sup> ან მიაჩნია, რომ უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან „მოახდენს ქართული მენტალიტეტის დაკარგვას“ (26%) და ქვეყანა „დაკარგავს თავის ეროვნულ იდენტობას“ (22%).<sup>18</sup>

ცხრილი 1: % ვინც ამბობს, რომ – მორალურად არასწორია

	ჰომოსექსუალური ქცევა	აბორტი	სექსი ქორწინებაზე	გაშორება/ დაშორება	კონტრაცეპციის გამოყენება
საქართველო	90	66	76	31	31
მოლდოვა	91	66	47	41	41
უკრაინა	83	48	38	26	26

წყარო: Pew Research Center. 2017. “Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe.” ნვდომის თარიღი 23 მაისი, 2018. <http://www.pewforum.org/2017/05/10/social-views-and-morality/>

<sup>13</sup> Ibid.

<sup>14</sup> Tamar Kintsurashvili, “Anti-Western propaganda,” 2015, p. 13, [http://www.media-diversity.org/en/additional-files/documents/Anti-Western\\_Propaganda\\_Media\\_Monitoring\\_Report.pdf](http://www.media-diversity.org/en/additional-files/documents/Anti-Western_Propaganda_Media_Monitoring_Report.pdf), accessed January 2016.

<sup>15</sup> Ibid., p. 14.

<sup>16</sup> Ibid., p. 14.

<sup>17</sup> NDI, “Public attitudes in Georgia Results of a April 2017 survey carried out for NDI by CRRC Georgia,” 2017, [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll\\_April%202017\\_Foreign%20Affairs\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_April%202017_Foreign%20Affairs_ENG_vf.pdf), accessed August 2018.

<sup>18</sup> NDI, “Public attitudes in Georgia Results of a November 2016 survey carried out for NDI by CRRC Georgia,” 2017, [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_November%202016%20poll\\_Issues\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_November%202016%20poll_Issues_ENG_vf.pdf), accessed April 2017.



საქართველოს მთავრობა რამდენჯერმე დაემორჩილა საზოგადოებრივ წნეხს და პოპულისტური განწყობების კიდევ უფრო მომძლავრების თავიდან ასაცილებლად რამდენიმე სადავო ნაბიჯი გადადგა. მაგალითად, მთავრობამ ახალ კონსტიტუციაში ასახა ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვა.<sup>19</sup> ახალი კონსტიტუციის 30-ე მუხლში ქორწინება განსაზღვრულია, როგორც „ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახ-

ის შექმნის მიზნით.“<sup>20</sup> მზარდი პროტესტის ფონზე, მთავრობამ ასევე უკან დაიხია სამედიცინო მიზნებით მარიხუანას კულტივაციის ლეგალიზების საკითხზე,<sup>21</sup> თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება ადმინისტრაციული სასჯელის გაუქმებაზე, რითიც ფაქტობრივად მარიხუანას პირადი მოხმარების ლეგალიზებას მხარი დაუჭირა.<sup>22</sup>

### • გავლენა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესზე

რამდენად ახდენს გავლენას არალიბერალური მოთამაშეების მზარდი აქტივობა და დისკურსი საქართველოს დემოკრატიზაციისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესზე? საქართველოს მოსახლეობას შორის არალიბერალური ან სოციალურ-კონსერვატიული შეხედულებები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პირდაპირ არ იასახება ევროსკეპტიციზმის გაძლიერებაში. პირიქით, საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის სახელმწიფოებს შორის ყველაზე პროევროპული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის 80%<sup>23</sup> მხარს უჭერს ევროკავშირში ქვეყნის განწევრიანე-

ბას.<sup>24</sup> ამასთან, ქართველი საზოგადოების თვალში ევროკავშირი კვლავ ყველაზე სანდო საერთაშორისო მოთამაშედ რჩება – მას საზოგადოების 69% ენდობა (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებს შორის), 55%-იანი მხარდაჭერა აქვს გაეროს, 54%-იანი – ნატოს და 18%-იანი – ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს.<sup>25</sup> ასევე, მეორეს მხრივ, ვერც პოპულისტური განწყობებს გაძლიერებამ და ვერც მთავრობის დამთმობმა ნაბიჯებმა შეძლო მოეხდინა მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ევროკავშირთან ფუნქციური დაახლოების პროცესზე. მაგალითისთვის, იურიდიულად, ერთნაირსქესიანთა ქორ-

<sup>19</sup> Ron Synovitz, “Georgian Dream Doubles Down On Same-Sex Marriage Ban,” RFE/RL, 2017, <https://www.rferl.org/a/georgian-dream-doubles-down-same-sex-marriage-ban/28577114.html>, accessed March 2019.

<sup>20</sup> Matsne.gov.ge, “Constitution of Georgia,” 2019, <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35>, accessed March 2019.

<sup>21</sup> BBC, “Church protests halt Georgia cannabis law,” 2018, <https://www.bbc.com/news/blogs-news-from-elsewhere-45563477>, accessed March 2019.

<sup>22</sup> Shawn Wayne, “Smoking Marijuana Legalized in Georgia,” 2018, <http://georgiatoday.ge/news/11592/Smoking-Marijuana-Legalized-in-Georgia>, accessed March 2019.

<sup>23</sup> NDI, “Public attitudes in Georgia Results of a April 2017 survey carried out for NDI by CRRC Georgia,” 2017, [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll\\_April%202017\\_Foreign%20Affairs\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_April%202017_Foreign%20Affairs_ENG_vf.pdf), accessed August 2018.

<sup>24</sup> იმავე პერიოდში ევროკავშირის წევრობის მხარდაჭერა უკრაინაში მხოლოდ 53%, ხოლო მოლდოვაში 47% იყო. წყარო: IRI, “Public Opinion Survey of Residents of Ukraine,” 2017, [http://www.iri.org/sites/default/files/2017-may-survey-of-residents-of-ukraine\\_en.pdf](http://www.iri.org/sites/default/files/2017-may-survey-of-residents-of-ukraine_en.pdf), accessed February 2019. IRI, “Public Opinion Survey: Residents of Moldova,” 2017, [https://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/2017-11-8\\_moldova\\_poll\\_presentation.pdf](https://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/2017-11-8_moldova_poll_presentation.pdf), accessed February 2019.

<sup>25</sup> Ecorys, “Open neighborhood - communicating for a stronger partnership: connecting with citizens across the Eastern neighborhood,” 2016, p. 23, [https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2017-02/EU%20Neighbours%20East\\_Full.report\\_6.pdf](https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2017-02/EU%20Neighbours%20East_Full.report_6.pdf), accessed February 2019.



ნინების აკრძალვა არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის რეგულაციებს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანაში, ერთნაირსქესიანთა ქორწინება კვლავ არა-ლეგალურია და რიგ შემთხვევებში, საქართველოს მსგავსად, კონსტიტუციითაა აკრძალული.<sup>26</sup> მეორე მხრივ, 2018 წელს რუმინეთის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი საქმით, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ (ECJ) დადებითად გადაწყვიტა ევროკავშირში ბინადრობის უფლების საკითხი ერთნაირსქესიანი წყვილებისათვის.<sup>27</sup> სასამართლოს მტკიცებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლება „ევროკავშირის მოქალაქეს შეუზღუდონ ბინადრობის უფლება ერთნაირსქესიანი მენცვილის მემკვიდრეობითი უფლების შეზღუდვით მათ ტერიტორიაზე.“<sup>28</sup> თუმცა იგივე განაჩენის მიხედვით, „[ევროკავშირის] წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება გადაწყვიტონ ერთნაირსქესიან პირებს შორის ქორწინების ნებართვის საკითხი.“<sup>29</sup> ეს კი ნიშნავს იმას,

რომ საქართველო არ იქნება ვალდებული მოახდინოს ერთნაირსქესიანი პირების ქორწინების ლეგალიზაცია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.<sup>30</sup> ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ სექსუალურ უმცირესობებს საქართველოში პრობლემები არ ექმნებათ. ზოგადად, ქართული საზოგადოება ლგბტ თემის მიმართ ნაკლებად სოლიდარულია. მთავრობის მხრიდან სოციალურ-კონსერვატიული და მემარჯვენე აქტივისტების მიმართ დამყოლი დამოკიდებულება უმცირესობებსა და სხვა მონყვლად ჯგუფებს ფიზიკური ძალადობისა და სოციალური სტიგმატიზაციის საფრთხის ქვეშ აყენებს.<sup>31</sup> შესაბამისად, ერთნაირსქესიანთა ქორწინების საფრთხისგან განსხვავებით, უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა ცალსახად მნიშვნელოვანი საკითხი გახდება საქართველოსთვის, თუ ის ევროკავშირის წევრობისკენ სვლას განაგრძობს.

<sup>26</sup> Claire Felter and Danielle Renwick, “Same-Sex Marriage: Global Comparisons,” CFR, 2017, <https://www.cfr.org/backgrounders/same-sex-marriage-global-comparisons>, accessed February 2019; Guardian, “Gay spouses have rights in all EU countries, says European court official,” 2018, <https://www.theguardian.com/society/2018/jan/11/gay-spouses-rights-all-eu-countries-european-court-adviser>, accessed February 2019.

<sup>27</sup> BBC, “Same-sex spouses have EU residence rights, top court rules,” 2018, <https://www.bbc.com/news/world-europe-44366898>, accessed February 2019.

<sup>28</sup> Ibid.

<sup>29</sup> Ibid.

<sup>30</sup> აქ მნიშვნელოვანი რომ განვასხვავოთ ერთნაირსქესიან პირთა ქორწინება ერთნაირსქესიანი წყვილების ლეგალური აღიარებისგან. საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე კომენტირებისას, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ერთნაირსქესიანი წყვილების ლეგალური აღიარება; ერთნაირსქესიანი პარტნიორების ურთიერთობების ლეგალური სტატუსის არაღიარება ECHR-ის მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევას უდრის.“ წყარო: Venice Commission, “Georgia. Draft opinion on the draft revised constitution,” 2017, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2017\)019-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2017)019-e), accessed March 2019, გვ. 12. 2015 წელს უმნიშვნელოვანესი საქმით „ოლიარი და სხვები იტალიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECHR) დაადგინა, რომ „ჰომოსექსუალური ურთიერთობების აღიარებისთვის იურიდიული ჩარჩოს არარსებობა არღვევს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას“. წყარო: Giuseppe Zago, “Oliari and Others v. Italy: a stepping stone towards full legal recognition of same-sex relationships in Europe,” 2015, <https://strasbourgobservers.com/2015/09/16/oliari-and-others-v-italy-a-stepping-stone-towards-full-legal-recognition-of-same-sex-relationships-in-europe/>, accessed March 2019.


<sup>31</sup> RFE/RL, “LGBT Supporters Rally In Tbilisi, Despite Fears Of Violence,” 2018, <https://www.rferl.org/a/fearing-violence-georgian-rights-groups-cancel-event-aimed-against-homophobia/29232476.html>, accessed February 2019.

## ქსენოფობია

ჰომოფობიურ ანტილიბერალური ღირებულებების გარდა, საქართველოში პოპულისტური დისკურსი ქსენოფობიის გარშემოც ტრიალებს. ამასთან, აღნიშვნის ღირსია, რომ როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ისე საქართველოშიც ქსენოფობია საკმაოდ სელექციურ ხასიათს ატარებს. ის ძირითადად მიმართულია იმიგრანტების მიმართ კონკრეტული


არადასავლური ქვეყნებიდან, მაგალითად არაბული სახელმწიფოებიდან, ირანიდან, თურქეთიდან და ჩინეთიდან.<sup>32</sup> მეორეს მხრივ, ანტიიმიგრანტული და ქსენოფობიური დამოკიდებულება ნაკლებად ჩანს აშშ-ს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ზოგიერთ პოსტ-საბჭოთა სივრცის სახელმწიფოსა და რუსეთის მიმართაც კი (გრაფა 1).

გრაფა 1: ქართველების დამოკიდებულება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ<sup>33</sup>



<sup>32</sup> CRRC, "Georgians have more negative attitudes towards the Chinese than other foreigners in Georgia," 2017, <http://crrc-caucasus.blogspot.com/2019/01/georgians-have-more-negative-attitudes.html>, accessed March 2019; CRRC, "Is xenophobia on the rise in Georgia?," 2014, <http://crrc-caucasus.blogspot.com/2014/09/is-xenophobia-on-rise-in-georgia.html>, accessed March 2019; CRRC, "Caucasus Barometer 2017 Georgia," 2017, <https://caucasusbarometer.org/en/cb2017ge/codebook/>, accessed March 2019.

<sup>33</sup> CRRC, "Caucasus Barometer 2017 Georgia," 2017, <https://caucasusbarometer.org/en/cb2017ge/codebook/>, accessed March 2019.



ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ულტრა მემარჯვენე ჯგუფებმა და აქტივისტებმა ანტიმიგრანტული აქციების ტალღა გამართეს და ათასობით მხარდამჭერი მიიზიდეს. უფრო მეტიც, მათმა მოთხოვნამ, გამკაცრებულიყო ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკა და შეზღუდულიყო მიწის მიყიდვა უცხოელებისთვის დიდი მხარდამჭერა მოიპოვა საზოგადოებაში. 2018 წლის NDI-ს გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის 56%-ის აზრით, „საქართველომ უნდა შეზღუდოს საქართველოში ჩამომსვლელი უცხოელი იმიგრანტების რაოდენობა“, 72%-ს კი მიაჩნია, რომ „სამსახურში აყვანისას დამსაქმებელმა უპირატესობა უცხოელებთან შედარებით ქართველებს უნდა მიანიჭონ, კანდიდატის კვალიფიკაციის მიუხედა-

ვად.“<sup>34</sup> 2017 წელს ჩატარებული კიდევ ერთი გამოკითხვის მიხედვით, ქართველების 64% მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.<sup>35</sup> ოფიციალური მონაცემებით, იმ უცხოელების რიცხვი, რომლებიც სახნავ-სათეს მიწებს ყიდულობენ, შედარებით მცირეა თუ არ ჩავთვლით საქართველოს პოსტ-საბჭოთა მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებს.<sup>36</sup> ამის მიუხედავად, 2013 წელს საქართველოს მთავრობამ ვერ გაუძლო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წნეხს და სახნავ-სათესი მიწების გაყიდვაზე შეზღუდვები დააწესა. მოგვიანებით, შეზღუდვები აისახა ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვარში შევიდა – ნაბიჯი, რომელიც აღქმული იყო როგორც „პოპულისტური სვლა ეკონომიკური

<sup>34</sup> NDI, “Public attitudes in Georgia Results of December 2018 survey,” 2018, [http://caucasusbarometer.org/downloads/NDI\\_presentation/NDI%20Georgia\\_December%202018%20poll\\_Political\\_ENG\\_Version%20Final.pdf](http://caucasusbarometer.org/downloads/NDI_presentation/NDI%20Georgia_December%202018%20poll_Political_ENG_Version%20Final.pdf), accessed February 2019.

<sup>35</sup> OC Media, “Georgia temporarily lifts ban on sale of agricultural land to foreign citizens,” 2018, <https://oc-media.org/georgia-temporarily-lifts-ban-on-sale-of-agricultural-land-to-foreign-citizens/>, accessed February 2019.

<sup>36</sup> mState Commission on Migration Issues, “2017 Migration Profile of Georgia,” 2017, [http://migration.commission.ge/files/migration\\_profile\\_2017\\_eng\\_final\\_.pdf](http://migration.commission.ge/files/migration_profile_2017_eng_final_.pdf), accessed January 2019.

ნაციონალიზმისკენ.<sup>37</sup> ეს ნაბიჯი მკაცრად გააკრიტიკეს ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა, განსაკუთრებით კი წინა ხელისუფლებას გამოყოფილმა ჯგუფებმა, რომელთაც ნეოლიბერალური ეკონომიკური დღის წესრიგი აქვთ. ამასთან, გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა გადაწყვიტა ასევე შეეზღუდა უცხოელ მოქალაქეებზე ბინადრობის მონაშენების გაცემა. კანონპროექტი ამკაცრებს ფინანსურ მოთხოვნებს ნებართვებისთვის საკუთრების, სამუშაო, საინვესტიციო საქმიანობისა და მუდმივი ბინადრობის მიზნით.<sup>38</sup> თბილისის მერის,

კახა კალაძის განცხადებით, ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება „საქართველოს მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს“ და იმ უცხოელებმა, ვისაც სურთ საქართველოში ცხოვრება და მუშაობა უნდა შეიტანონ „ადეკვატური წვლილი“ საქართველოს ეკონომიკაში.<sup>39</sup> ჯამში, ქართული ოცნების მთავრობა ცდილობს ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებების საშუალებით მიანელოს ანტიიმიგრანტული და პოპულისტური განწყობები და მოიგოს მემარჯვენე ამომრჩევლის გული.

### • გავლენა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესზე

თუმცა საკითხავია, რამდენად უშლის ხელს საქართველოში საზოგადოების ანტიიმიგრანტული ტალღა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას? მთავრობის პროტექციონისტული ანტიიმიგრანტული პოლიტიკა პირდაპირ არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის რეგულაციებს ან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დანერგულ პრაქტიკას. უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრ ბევრ სახელმწიფოს მსგავსი მიდგომა აქვს მიწის დაცვასთან დაკავშირებით. ევროკომისიის მიერ შემუშავებული დირექტივების მიხედვით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ სხვადასხვა პროტექციონისტული ღონისძიებები გაატარონ. დირექტივის მიხედვით, „სასოფლო-სამეურნეო მიწა შეზღუდული და განსაკუთრებული ქონებაა, რომელიც განსა-

კუთრებულ დაცვას საჭიროებს.“<sup>40</sup> ზოგადად და საქართველოს შემთხვევაშიც მიწის გაყიდვის აკრძალვის ეკონომიკური მხარე საკამათოა. არსებობს მოსაზრება, რომ აკრძალვა სამომავლოდ ინვესტიციების შემცირებას გამოიწვევს და „სოფლად სიღარიბეს შეუწყობს ხელს.“<sup>41</sup> თუმცა, ეს საქართველოს ევროკავშირთან მიახლოების პროცესს პირდაპირ არ დააზიანებს ან ხელს არ შეუშლის. აქ მნიშვნელოვანია ორი საკითხი. პირველი, საქართველოში მიწაზე შეზღუდვის დანერგვა ახალი არაა, არამედ თანხვედრაშია აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის პოლიტიკასთან. ევროკავშირმა ამ ქვეყნებს საშუალება მისცა შეზღუდვები დაენესებინა უცხოელი ინვესტორების მიერ მიწის

<sup>37</sup> EurasiaNet.org, “Georgia Keeping Its Land Off-Limits for Foreigners,” 2017, <https://eurasianet.org/georgia-keeping-its-land-off-limits-for-foreigners>, accessed February 2019.

<sup>38</sup> Agenda.ge, “Parliamentary committee confirms changes for residency permits for foreigners,” 2018, <http://agenda.ge/en/news/2018/2330>, accessed March 2019.

<sup>39</sup> Agenda.ge, “Parliamentary committee confirms changes for residency permits for foreigners,” 2018, <http://agenda.ge/en/news/2018/2330>, accessed March 2019.


<sup>40</sup> European Commission, “Sales of farmland: Commission issues guidelines to Member States,” 2017, [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-17-3901\\_en.pdf](http://europa.eu/rapid/press-release_IP-17-3901_en.pdf), accessed January 2019.

<sup>41</sup> Hans Gutbrod, “Ban on Foreign Ag-Ownership in Georgia – Why Leases are Not the Solution,” 2017, <https://medium.com/@hansgutbrod/ban-on-foreign-ag-ownership-in-georgia-why-leases-are-not-the-solution-6abdb72706e1>, accessed January 2019.

შესყიდვაზე სხვადასხვა ტრანზიციული შეთანხმებების საშუალებით.<sup>42</sup> შესაბამისად, იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო ახლო მომავალში ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდება, ტექნიკურად მიწის დაცვის პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობის საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევა არ იქნება. მეორე, ქართველების უარყოფითი დამოკიდებულება ძირითადად მიმართულია ქვეყნების გარკვეული ჯგუფისკენ, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებისაკენ. ევროკავშირის

წევრი ქვეყნების მხრიდან ინვესტიციები კი უფრო სასურველად აღიქმება. მაგალითად, CRRC-ს 2017 წლის გამოკითხვების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში ამერიკელებს და ევროპელებს ქართველები ყველაზე მეტად ენდობიან (გრაფა 2).<sup>43</sup> შესაბამისად, ყველაზე რადიკალი ულტრამემარჯვენე აქტორებისთვისაც კი, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური და ფინანსური კონტრიბუციის წინააღმდეგ ბრძოლა აზრს მოკლებულია.

გრაფა 2: ქართველების დამოკიდებულება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ<sup>44</sup>



<sup>42</sup> Simon Marks, "Eastern Europe turns back on single market," 2017, <https://www.politico.eu/article/eastern-europe-versus-the-single-market/>, accessed January 2019.

<sup>43</sup> CRRC, "Georgians have more negative attitudes towards the Chinese than other foreigners in Georgia," 2017, <http://crrc-caucasus.blogspot.com/2019/01/georgians-have-more-negative-attitudes.html>, accessed March 2019.

<sup>44</sup> წყარო: CRRC, "Georgians have more negative attitudes towards the Chinese than other foreigners in Georgia," 2017, <http://crrc-caucasus.blogspot.com/2019/01/georgians-have-more-negative-attitudes.html>, accessed March 2019.



## ანტიდასავლურობა

პოპულისტურ ნაციონალისტური დისკურსის მესამე ნარატივი ანტიდასავლურობაა. ნაციონალისტური პოპულისტური ჯგუფების უმრავლესობა იზიარებს შედარებით რბილ პოზიციას რუსეთის მიმართ და დისტანცირდება დასავლეთისგან. მაგალითად, ქართული მარშის ლიდერებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ რუსეთთან დიალოგითა და ახლო ურთიერთობითაა შესაძლებელი და რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენისათვის აუცილებელია, რომ საქართველო აღარ აღიქმებოდეს „დასავლეთის აგენტების მიერ მართულ“ ქვეყანად.<sup>45</sup> საქართველოს ნაციონალისტი პოპულისტები ასევე ეწინააღმდეგებიან „უცხოეთიდან დაფინანსებულ“ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რადგან მათი თქმით, ეს ორგანიზაციები საქართველოს ეროვნულ იდენტობას ემუქრებიან. განსაკუთრებით კრიტიკული დამოკიდებულება შეინიშნება ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მიმართ, რომელიც ჯორჯ სოროსის ფონდის გლობალური ქსელის ადგილობრივი ორგანიზაციაა.<sup>46</sup> შესაბამისად, ევროპელი პოპულისტების კვალდაკვალ, ქართველი პოპულისტი ნაციონალისტები იყენებენ დასავლეთის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ დისკურსს საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გასააქტიურებლად.

ამასთან, ფორმალურად, არც ერთი პოპულისტი ნაციონალისტი აქტორი არ აყენებს

კითხვის ნიშნის ქვეშ საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას. საკუთარი პარტიის პროგრამაში, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ფორმალურად მხარს უჭერს საქართველოს განწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში, თუმცა ისინი ასევე ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ რადგან ეს ორგანიზაციები არ არიან მზად საქართველო მათ წევრად მიიღონ, ქვეყნის მთავრობამ უნდა სცადოს უფრო პრაგმატული საგარეო პოლიტიკის გატარება.<sup>47</sup> შესაბამისად, ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების პროცესის შეფერხება პირდაპირ ასხამს წყალს პოპულისტების ნისქვილზე. ეს ჯგუფები ასევე აცნობიერებენ, რომ ქართულ საზოგადოებაში რუსეთის მიმართ კვლავ უარყოფითი დამოკიდებულებაა, შესაბამისად პოპულისტები ცდილობენ თავიდან აირიდონ „პრორუსული“ იარლიყი. ისინი საკუთარ თავს პროქართულ ჯგუფად იხსენიებენ, რაც გულისმობს რუსეთთან და დასავლეთთან თანაბრად დისტანცირებას.<sup>48</sup> ამის მიუხედავად, ცხადია, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსსა და სხვა პოპულისტურ მოთამაშეებს სხვა ტრადიციულ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შედარებით, რუსეთის მიმართ უფრო მეტად კეთილგანწყობილი პოლიტიკა აქვთ. მათ ასევე მჭიდრო კავშირი აქვთ რუსეთის მიერ დაფინანსებულ საზოგადოებრივ ფონდებთან და სხვა აქტორებთან, რომლებიც პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსული რბილი ძალის ხელშეწყობას ისახავენ მიზნად.<sup>49</sup>

<sup>45</sup> Zaza Abashidze, “The Georgian March against migrants and NATO,” Jam news, 2018, <https://jam-news.net/the-georgian-march-against-migrants-and-nato/>, accessed March 2019.

<sup>46</sup> Civil Georgia, “Ultranationalists Rally Against Soros Foundation, Land Ownership Changes,” 2017, <https://old.civil.ge/eng/article.php?id=30436>, accessed March 2019.

<sup>47</sup> Alliance of Patriots of Georgia, “Our Vision & Program,” 2019, <http://patriots.ge/our-vision-program/>, accessed March 2019.

<sup>48</sup> Ibid.

<sup>49</sup> TI Georgia, “Anatomy of Georgian Neo-Nazism,” 2018, <https://www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism>, accessed March 2019.

## • გავლენა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესზე

ჰომოფობიური და ქსენოფობიური დისკურსის მსგავსად, პოპულისტი ნაციონალისტების მიერ მხარდაჭერილ ანტიდასავლურობას საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის სექტორულ ან პოლიტიკურ დაახლოებაზე ჯერჯერობით მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ანტი-დასავლური დისკურსის ხელშეწყობა საზოგადოების მხრიდან საქართველოს ევროპული მომავლის მხარდაჭერას შეამცირებს და საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტში ანტიდასავლური განწყობების გამყარებას შეუწყობს ხელს. ქარ-

თული ოცნების მთავრობის მხრიდან ადგილობრივი ანტიდასავლური განწყობის მქონე აქტორების მიმართ რიგ შემთხვევებში რბილი დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მათი პოლიტიკური დღის წესრიგის ლეგიტიმაციას. გრძელვადიან პერსპექტივაში, თუკი არ მოხდა ამ ფენომენის კონტროლი, შესაძლოა საზოგადოებაში საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროექტთან დაკავშირებული „მდუმარე თანხმობა“ გაქრეს და მოსახლეობა ევროპული ინტეგრაციის მიმართ უარყოფითად განწყობეს.<sup>50</sup>

## დასკვნა და რეკომენდაციები

ჯამში, საქართველოში ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესზე პოპულიზმის გავლენა არც თუ ისე მარტივი აღმოსაჩენია. თუკი რიგი მიმართულებებისა, მაგალითად უმცირესობების უფლებების დაცვა, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება, მზარდი პოპულიზმის მიზეზით საქართველოს ევროკავშირთან ფუნქციური ან ინსტიტუციური დაახლოების პროცესის სტაგნაციის ან უკუსვლის ტენდენცია არ შეინიშნება. საუკეთესო შემთხვევაში, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე მზარდი პოპულიზმის გავლენა საკამათოა და საჭიროებს მეტ კვლევას. ამ ეტაპზე, პოპულისტმა აქტორებმა ვერ მოახერხეს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობების პირდაპირი საბოტაჟი და ვერც ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის წინააღმდეგ საზოგადოებრივი განწყობების შექმნა შეძლეს.

ამის მიუხედავად, პოპულისტური ნაციონალიზმიდან მომდინარე რისკები სათანადოდ უნდა შეფასდეს. პოპულისტი ნაციონალისტები ახერხებენ ქვეყანაში პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებას და უკვე რამდენჯერმე აიძულეს ხელისუფლება ნაწილობრივ დაეთმოთ პროევროპული რეფორმების დღის წესრიგი პოპულისტური ცაიტგაისტის სასარგებლოდ. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ძალიან ნელა იცვლება და მოსახლეობის უმეტესობას კვლავ სოციალური სიდუხჭირე და უმუშევრობა აწუხებს, რაც მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს პოპულისტურ განწყობებს ქვეყანაში. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ და სამოქალაქო საზოგადოებამ, ევროკავშირისა და სხვა დასავლელი აქტორების დახმარებით, აქტიური ზომები უნდა მიიღოს ქვეყანაში ევროსკეპტიკური პოპულიზმის გაძლიერ-

<sup>50</sup> „მდუმარე თანხმობა“ გულისხმობს მოსახლეობის მხრიდან ევროპული ინტეგრაციის უსიტყვო/ არადეკლარირებულ თანხმობას. მისი საპირისპირო პროცესია შემზღუდავი დისენსუსი, როდესაც მოსახლეობა ვეტოს უფლების მქონე აქტორად იქცევა. იხილეთ: Hooghe L and Marks G (2009) A postfunctionalist theory of European integration: From permissive consensus to constraining dissensus. British journal of political science 39(1): 1-23.

ების შესაჩერებლად. ამისათვის, წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევებში წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია საქართველოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოე-

ბისთვის, ისევე როგორც ევროკავშირსა და საქართველოში მოქმედი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

## რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის:

○ **ევროკავშირის შესახებ რედუქციონისტული მითვის დამსხვრევა** ევროკავშირის ნორმებისა და ღირებულებების ერთიანი სურათის ხაზგასმით და საქართველოს მოსახლეობისთვის მიმზიდველი კონტრნარატივის შექმნით. კონტრნარატივი შეიძლება გულისხმობდეს მეტი ყურადღების გამახვილებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა კეთილდღეობის სახელმწიფო, სოციალური უფლებები, პოლიტიკური თავისუფლებები, გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტები, სოლიდარობა, კორუფციის დაბალი დონე და პროფესიონალური მთავრობა.

○ სკოლებში **პოლიტიკურ განათლებაზე ისეთი ძირითადი კურსების** შემოღება როგორცაა განმანათლებლობის ეპოქა, დემოკრატია, პოლიტიკური ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, კეთილდღეობის სახელმწიფო, ეფექტური მმართველობა, სოლიდარობა და სუბსიდიარობა, რაც არამხოლოდ ევროკავშირზე, არამედ ევროპისა და დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტურ ნორმებზე იქნება ფოკუსირებული და გადაფარავს პოპულისტურ რიტორიკას.

○ დაწყებით და საშუალო სკოლების პროგრამაში **ევროპული ენების** შესწავლის გაძლიერება. მოსახლეობის ყველა ჯგუფს, განსაკუთრებით კი ახ-

ალგაზრდებს უნდა შეეძლოთ ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მიღება და გაგება ევროპული საინფორმაციო წყაროებიდან. ეს რუსეთის – და ზოგიერთი ადგილობრივი – ტელევიზიისა და ინტერნეტ წყაროების მიერ წარმოებული საზიანო პროპაგანდის გავლენას შეამცირებს. პოლიტიკური განათლებისა და ევროპული (და ქართული) ენების შესწავლის თვალსაზრისით, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მოსახლეობაზე **უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში**, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაუცველები რუსულ ენოვანი პროპაგანდის პირისპირ.

○ ადგილობრივ და რეგიონულ **სატელევიზიო არხებზე** იმ პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ობიექტურად გააშუქებენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკურ წინსვლას, ადამიანურ და ტექნოლოგიურ პროგრესს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების რიგითი მოქალაქეების ისტორიებს.

○ სამთავრობო და პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა სცადონ მკაფიო ზღვარი იპოვონ **ნაციონალისტურ პოპულისტურ ნარატივებსა** და ზომიერ კონსერვატიულ ღირებულებებს შო-

რის, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში ფართოდ არის მიღებული. თუკი ტრადიციული კონსერვატიზმი სრულად თავსებადია ევროკავშირის ღირებულებებთან, პოპულისტური ნაციონალისტური ნარატივები საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის საზიანოდ უნდა აღიქმებოდეს.

○ მთავრობა უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს იმ სფეროების უფრო **ეფექტურ მართვაში**, რომლებიც ულტრა-მემარჯვენე და ევროსკეპტიკური პოპულიზმის გაღვივების კერებს წარმოადგენენ. ეს შესაძლოა გულისხმობდეს სახელმწიფო საზღვრების უკეთეს დაცვას და არალეგალური იმიგრაციის უფრო მკაცრ კონტროლს.

### რეკომენდაციები ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის:

○ ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს **დემოკრატიული პირობითობა** სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ იმისათვის, რომ მოსახლეობამ გააცნობიეროს, რომ ევროკავშირი და ევროპული სახელმწიფოები საქართველოს მთავრობაზე მეტად, საქართველოს მოსახლეობაზე ზრუნავენ. ეს ხელს შეუწყობს ევროსკეპტიკოსი აქტორების ანტიდასავლური ნარატივის განეიტრალებას, რომელიც სახელმწიფო მოხელეებს დასავლეთის მარიონეტებად, ხოლო დასავლეთს – იმპერიულ ძალად წარმოადგენს.

ცნობიერების ასამაღლებლად. ევროკავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა **გააუმჯობესონ საკომუნიკაციო სტრატეგია** საქართველოში და მაგალითად დააფინანსონ რეკლამები ეროვნულ და რეგიონულ სატელევიზიო არხებზე იმისათვის, რომ უკეთ გამოჩნდეს თურას აკეთებს ევროკავშირი საქართველოსთვის და საქართველოში.

○ საქართველოში ევროკავშირის იმიჯი პრობლემურია იმის გამო, რომ ევროკავშირი არ აკეთებს საკმარისად მეტს რეგიონებსა და უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში საკუთარი აქტივობების შესახებ საზოგადოებრივი

○ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს არ მოსწონს **პოლიტიკური სიმბოლიზმის ენა**, მან უნდა სცადოს შექმნას უფრო ძლიერი, პრინციპული და ეფექტური იმიჯი პოპულისტური ნარატივის საპირსწინედ, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი სუსტი და არაეფექტურია იმისათვის, რომ გაუმკლავდეს საკუთარ შიდა და გარე პრობლემებს და რომ სერიოზულად იყოს აღქმული სხვა აქტორების მიერ.

პოლიტიკური პოლარიზაცია და  
მედია - რა საფრთხის წინაშე  
დგას დემოკრატიული პროცესი  
საქართველოში?

ნინო რობაქიძე<sup>1</sup>





## აბსტრაქტი

პოლიტიკური პოლარიზაციის პრობლემა მსოფლიოს მასშტაბით ტრადიციული ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნების დღის წესრიგში დგას. პარალელურად, როგორც ერთ-ერთი მთავარი დემოკრატიული ინსტიტუტი, მედიაც ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების ნდობას ტრადიციული მედიის მიმართ, პროფესიონალიზმსა და მედიის მიერ ფაქტების ობიექტურ გაშუქებაზე მეტად, მედიასაშუალებების პარტიული თუ იდეოლოგიური პერსპექტივა განსაზღვრავს. პოლიტიკური პოლარიზაცია ქართული მედიის ლანდშაფტის გამონწვევაცაა. განსაკუთრებული სიმწვავეთ ეს პრობლემა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების

გააქტიურებისას, მაგალითად საარჩევნო ციკლების პარალელურად იჩენს თავს. არსებობს მოსაზრება, რომ პოლარიზებული მედიაგარემო არ წარმოადგენს რეალურ პრობლემას თუ ზოგადად მედიაგარემო ქვეყანაში პლურალისტულია და ამომრჩეველს განსხვავებულ მედიასაშუალებებზე მიუწვდება ხელი. წარმოადგენს თუ არა ფრაგმენტირებული ქართული მედიაგარემო თავისთავად საფრთხეს და რამდენად შეძლებს ასეთი მედია შეასრულოს ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი – საჯარო ფორუმის ფუნქცია და მოამზადოს მოქალაქეები ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანისთვის?

## შესავალი

პლურალური მედიაგარემო დემოკრატიის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია და გულისხმობს მედიის მფლობელობის მრავალფეროვნებას, დამოუკიდებლობას პარტიული გავლენებისგან, მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურს, საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის განსხვავებული შეხედულებების ჯეროვან ასახვას მედიაში<sup>1</sup>. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მხოლოდ მედიასაშუალებების სიმრავლე, რომლებიც თავის მხრივ პოლიტიკური გავლენის სფეროების მიხედვით არიან დაყოფილი, არ ნიშნავს მედიაპლურალიზმს და ეს მოცემულობა არასაკმარისია დემოკრატიული სტანდარტისთვის. სხვადასხვა

პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებული ტელეარხების არსებობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ვირტუალური პლურალიზმი.<sup>2</sup> დემოკრატიულ საზოგადოებას კი სჭირდება შინაარსობრივად მრავალფეროვანი, რეალურად პლურალისტური მედია.

ბოლო წლების მანძილზე, წამყვან ქართულ საინფორმაციო წყაროებს შორის ორი კერძო ტელემაუწყებელი სტაბილურად ლიდერობს – ტელეკომპანია „იმედი“ და „რუსთავი 2“ ერთმანეთის მთავარი კონკურენტები არიან<sup>3</sup> და ამავე დროს, ორივე წამყვან პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდება: ტელეკომპანია იმედი მმართველ პარტია „ქართულ ოცნებასთან“, ხოლო „რუსთავი 2“ – ყველაზე

<sup>1</sup> ნინო რობაქიძე – მედიამკვლევარი, SAFE ინიციატივის ევრაზიის ცენტრის მენეჯერი, IREX

\* ავტორი მადლობას უხდის მარიამ გრიგალაშვილს, კვლევაში შეტანილი წვლილისათვის.

<sup>2</sup> Peruško, Z. (2010). The Link That Matters: Media Concentration and Diversity of Content. in B. Klimkiewicz (ed.), *Media Freedom and Pluralism: Media Policy Challenges in the Enlarged Europe*, Central European University Press, pp. 261-273

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> TVMR GE. (თებერვალი, 2018). 2017 წლის ყველაზე რეიტინგულები №1. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UTjclP>

დიდი რეიტინგის მქონე ოპოზიციურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან.“ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2013 წლიდან მოყოლებული საქართველოში მედიაგარემოს აფასებს, როგორც „პლურალური, თუმცა ჯერ კიდევ პოლარიზებული“<sup>5</sup>, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენს მთლიანად მედიალანდშაფტზე.

მედიის პოლარიზაცია მნიშვნელოვნად აისახება მოსახლეობის განწყობებზე. მიკერძოებით გაშუქებული მოვლენები, რომლებიც ფაქტის მიწოდების ნაცვლად დაუფარავად აფიქსირებს პოზიციას რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ, ქართული მედიასივრცის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. ამ ფონზე, 2018 წელი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების, კერძოდ კი საპრეზიდენტო არჩევნების გამო, მეტად საინტერესო გამოდგა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა უფრო მეტად წარმოაჩინა მედიის პოლარიზაციის ნეგატიური გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და მედიის მრავალფეროვნების მნიშვნელობა ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული განვითარებისთვის.

როგორც კავკასიის ბარომეტრის საზოგადოებრივი აზრის კვლევა აჩვენებს, დღეს

საქართველოში ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს კვლავ ტელევიზია წარმოადგენს. რესპონდენტების 73% მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მიღების პირველ წყაროდ სწორედ ტელეარხებს იყენებს<sup>6</sup>. აზრის ფორმირების პროცესში კრიტიკული ხდება ტელეარხების როლი. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად პასუხობს ქართული ტელემედია ჟურნალისტიკის ძირითად სტანდარტებს. აღნიშნული ნაშრომი ყურადღებას სწორედ ტელევიზიებზე ამახვილებს და მიმოიხილავს მათ როლსა და გავლენას საზოგადოების პოლარიზაციასა და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე. კერძოდ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მიმოხილვით გავაანალიზებთ, თუ რამდენად ობიექტურად და მიუკერძოებლად ასახავდნენ მნიშვნელოვანი მედიასაშუალებები საზოგადოებისთვის საჭირობოროტო სხვადასხვა სოციალური თუ პოლიტიკური საკითხების მიმართ არსებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნებას. ეს ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ, თუ რამდენად უწყობს მედია ხელს საზოგადოების პოლიტიკურ ფრაგმენტაციას, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის დაპირისპირების გაღრმავებას და ქმნის თუ არა განსხვავებულ პოლიტიკურ რეალობებს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე აუდიტორიისთვის.

## მედიის პოლარიზაცია და 2018 წლის არჩევნები

პოლიტიკური პოლარიზაციის კლასიკური სიმპტომებია საზოგადოებაში პოპულისტური ჯგუფების პოპულარობის ზრდა; პოლიტიკური დებატების დაყრდნობა პოპულისტურ ან ემოციურ და არარაციონალურ არგუმენტებზე; პოლიტიკურ ლექსიკონში

„ჩვენ“ და „სხვა“ დიქტომიის გააქტიურება; პოლიტიკური მონინააღმდეგის ხატის დეჰუმანიზაცია და პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზება ოპონენტის წინააღმდეგ და არასაკუთარი იდეების მხარდასაჭერად.<sup>7</sup>

<sup>5</sup> Reporters Without Borders. (2018). 2018 World Press Freedom Index. xelmisawvdomia: <https://rsf.org/en/georgia>

<sup>6</sup> Caucasus Barometer. (2017). Main Sources of Information – First Source. xelmisawvdomia: <https://caucasusbarometer.org/en/nj2017ge/INFSOU1/>

<sup>7</sup> McCoy, J., Rahman, T. and Somer, M. (2018). Polarization and the Global Crisis of Democracy: Common Patterns, Dynamics, and Pernicious Consequences for Democratic Polities. *American Behavioral Scientist*, 62(1), 16-42.

2018 წლის არჩევნებმა გამოკვეთა პრობლემები, როგორც პოლიტიკური კულტურის ნაკლებობის მხრივ, ასევე არაჯანსაღი მედიაგარემოს თვალსაზრისით. თუკი მანამდე ქვეყნის წამყვანი ტელეარხები პოლიტიკურ მიკუთვნებულობას შედარებით შეფარვით აფიქსირებდნენ, არჩევნების დროს ტელეარხების პარტიების ინტერესების სფეროდ გადანაწილებამ უფრო დაუფარავი სახე მიიღო. ერთი მხრივ, აშკარა გახდა ტელევიზიების მიკერძოება და გამოიკვეთა ორპოლუსიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, დაფიქსირდა არასასურველი კანდიდატების ნეგატიური გაშუქება, რასაც თან ახლდა მედიის პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულაციის შემთხვევები<sup>8</sup>.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად მიმდინარე მედიამონი-

ტორინგის შედეგები თვალნათლივ აჩვენებს, რომ ოპოზიციურად განწყობილი „რუსთავი 2“ ქართულ ოცნებას, მის საპრეზიდენტო კანდიდატსა და ქვეყნის მთავრობას ძირითადად ნეგატიურ კონტექსტში აშუქებდა. მაშინ, როცა ტელეკომპანია „იმედი“ ნეგატიურ ჟრილში აშუქებდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო ხელისუფლების, პარტია „ქართული ოცნებისა“ და მის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ ძირითადად გაშუქების ნეიტრალურ ტონს იყენებდა. „იმედის“ პოლიტიკური პროგრამები ძირითადად ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტების პერსპექტივის ნეგატიური შედეგების წარმოჩენას ეძღვნებოდა, „რუსთავი 2“ კი საინფორმაციო -პოლიტიკურ ბადეს სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მიმართავდა<sup>9</sup>.

საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა (მედიამონიტორი, 2018)<sup>10</sup>



<sup>8</sup> მედიამონიტორი. (2018). არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში, 2016-2018. ხელმისაწვდომია: <http://mediamonitor.ge/>. ბოლოს ნანახია: 6 მარტი, 2019

<sup>9</sup> იგივე.

<sup>10</sup> იგივე.

„საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის“ თანახმად, გარდა წინასაარჩევნო პროცესის დაძაბულ რეჟიმში მსვლელობისა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია მედიაში სიძულვილის ენის გამოყენება. „რუსთავი 2“-ის მიერ სალომე ზურაბიშვილზე მომზადებულ სიუჟეტებში დაფიქსირდა ყველაზე მეტი ეთიკური დარღვევა, მათ შორის ჟურნალისტების მიერ საკუთარ საავტორო ტექსტებში ცინიზმის და ირონიის გამოყენების შემთხვევები<sup>11</sup>. კვლევის თანახმად, საარჩევნო პერიოდში პირველი ტურიდან მეორემდე მკვეთრად გაიზარდა (56%-დან 89%-მდე) სალომე ზურაბიშვილის უარყოფითი გაშუქება „რუსთავი 2“-ზე. მაშინ, როდესაც „იმედი“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაკავებული იყო ყოფილი პრეზიდენტის


მიხეილ სააკაშვილის, „ნაციონალურ მოძრაობისა“ და გრიგოლ ვაშაძის კრიტიკული შეფასებით<sup>12</sup>. შედარებით ნეიტრალური მედიის ნიშა დაიკავეს ტელეკომპანია „პირველმა“ და აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა. საგულისხმოა, რომ სატელევიზიო სივრცის ამგვარი ფორმირება აისახება მაყურებლის განწყობაზეც ძირითადი მედიების მიმართ. ორი ყველაზე პოპულარული მაუწყებელიდან – „იმედი“ და „რუსთავი 2“ ვერც ერთი იამაყებს მაყურებლის ნდობის მაღალი მაჩვენებლით. ტელეკომპანია იმედს ენდობა გამოკითხულთა 26% და არ ენდობა 20%, ხოლო „რუსთავი 2“-ს ენდობა 20% და არ ენდობა 27%. ორივე ტელევიზიასთან მიმართებაში მაყურებლის უმრავლესობას ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს<sup>13</sup>.

მედიის ნდობა (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, 2018)<sup>14</sup>

## Trust in media



In general, how much do you trust or distrust coverage of news and current affairs on the following TV channels? (q72)



NDI December 2018 Survey

www.caucasusbarometer.org  
www.ndi.org/georgia-polls

<sup>11</sup> იგივე.

<sup>12</sup> იგივე.

<sup>13</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. (2018). საზოგადოებრივის აზრის კვლევა საქართველოში. ხელმისაწვდომია: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_Issues%20Poll%20Presentation\\_December%202018\\_English\\_Final.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Issues%20Poll%20Presentation_December%202018_English_Final.pdf)

<sup>14</sup> იგივე.



მედიაში პოლიტიკური პოლარიზაციის ტალღა, რომლის პიკიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო, ბევრად უფრო ადრე დაიწყო. 2012 და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ტენდენცია უკვე თვალნათელი იყო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგები ასევე აჩვენებდა პოპულარული და გავლენიანი ტელე მედიების პოლიტიკურ იარაღად გამოყენების პრაქტიკას.<sup>15</sup> საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევ-

ნებზე საარჩევნო ბარიერი გადალახა სამმა პოლიტიკურმა გუნდმა და სამივე მათგანი პოლიტიკურ ბრძოლაში აქტიურად იყენებდა მათ გავლენებს კონკრეტულ ტელევიზიებზე.<sup>16</sup> შედეგად, საარჩევნო ხმის მქონე მოქალაქეთა დიდი ნაწილი<sup>17</sup> ფაქტობრივად გარიყული იყო პოლიტიკური დისკუსიიდან, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება პლურალისტური და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს.

## მედია და საზოგადოების პოლარიზაცია

მედიაპლურალიზმი პირდაპირ კავშირშია საზოგადოების პლურალიზმთან და ამავე დროს, საზოგადოების პოლარიზაციაში მედია დიდ როლს თამაშობს.<sup>18</sup> 2019 წლის დასაწყისში ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლობამ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევის მორიგი ტალღის შედეგები გაასაჯაროვა.<sup>19</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 2018 წლის დეკემბერში, როცა ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტური ახალი დასრულებული იყო. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ერთ-ერთი მიგნება ისაა, თუ რამდენად განსხვავებულია მოქალაქეთა წარმოდგენები კონკრეტული საკითხების მიმართ მათი პოლიტიკური გემოვნების მიხედვით.

დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები აჩვენებენ პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით ადამიანების განსხვავებულ დამოკიდებულებებს არა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხთან, არამედ მოვლენებთან მიმართებაში, კონკრეტულად კი ისეთ ფაქტებთან მიმართებით, რომელთა გადამონმებაც შესაძლებელია, მაგალითად, გაზრდილია თუ არა ქვეყანაში კრიმინალი. მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 60% ფიქრობს, რომ კრიმინალური კუთხით სიტუაცია ქვეყანაში გაუარესდა, ქართული ოცნების მხარდამჭერთა მხოლოდ 19% იძლევა იგივე პასუხს.<sup>20</sup> თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ როგორია რეალური სტატისტიკა, მმართველი პოლიტიკური გუნდისა და

<sup>15</sup> მედიამონიტორი. (2016). 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიამონიტორინგის შედეგები. ხელმისაწვდომია: [http://mediamonitor.ge/files/MM%20Final%20Report%20\(Geo\).pdf](http://mediamonitor.ge/files/MM%20Final%20Report%20(Geo).pdf)

<sup>16</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო. (2015). ვის ეკუთვნის ქართული მედია. ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/ge/post/report/vis-ekutvnis-kartuli-media>

<sup>17</sup> საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 36%-ს არ აქვს გამოხატული პოლიტიკური პრეფერენციები არცერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ, ასევე რიგი მოქალაქეები მხარს უჭერენ ისეთ პოლიტიკურ მოთამაშეებს, რომლებსაც არ აქვთ ხელმისაწვდომობა მედია რესურსის მართვაზე. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (2018).

<sup>18</sup> Martin, J.G and Yurukoglu, A. (2017). Bias in Cable News: Persuasion and Polarization. *American Economic Review*, 107(9), 2565-2599

<sup>19</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. (2018). Results of December 2018 Public Opinion Polls in Georgia. ხელმისაწვდომია: <https://www.ndi.org/publications/results-december-2018-public-opinion-polls-georgia>

<sup>20</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. (2018). საზოგადოებრივის აზრის კვლევა საქართველოში. ხელმისაწვდომია: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_Issues%20Poll%20Presentation\\_December%202018\\_English\\_Final.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Issues%20Poll%20Presentation_December%202018_English_Final.pdf)


ოპოზიციის მხარდამჭერებს ამ თემაზე ისეთივე განსხვავებული წარმოდგენა აქვთ,

როგორც ზოგად საკითხზე – თუ რამდენად სწორი მიმართულებით მიდის ქვეყანა.

კრიმინალური სიტუაცია (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, 2018)<sup>21</sup>

### Criminal situation

How do you think the criminal situation has changed in Georgia in the last 10 years? Has it gotten worse, stayed the same or gotten better?  
(q64 X Party closest to you)



თუ უპარტიო მოქალაქეების 45%-ის აზრით ქვეყანა ზოგადად არასწორი მიმართულებით მიდის, ქართული ოცნების, მმართველი პარტიის მხარდამჭერთა მხოლოდ 15% თვლის ასე. ხოლო ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა შემთხვევაში, ეს რიცხვი 67%-ს აღწევს.

ბოლო 10 წლის მანძილზე ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია გაუარესებულია უპარტიო მოქალაქეების 53%-ისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა 60%-ის აზრით. ამის საპირისპიროდ, ამ მსჯელობას ქართული ოცნების მომხრეთა მხოლოდ 19% ეთანხმება.<sup>22</sup>


<sup>21</sup> იგივე

<sup>22</sup> იგივე

ქვეყნის მიმართულება (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, 2018)<sup>23</sup>

## Country direction

There are different opinions regarding the direction in which Georgia is going. In your opinion ... (q2 X Party closest to you)



ერთი შეხედვით თითქოს არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ სხვადასხვა პლატფორმის პოლიტიკური ძალების მხარდამჭერები სხვადასხვა პრიზმიდან აღიქვამდნენ საჯარო პოლიტიკის საკითხებს, თუმცა გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ეს განსხვავებები წლიდან წლამდე იზრდება, რაც შესაძლოა საზოგადოების პოლიტიკურ ფრაგმენტაციაზე მიუთითებდეს.<sup>24</sup>

მედიის პოლარიზაცია მათ მიმართ მოსახლეობის ნდობაზეც აისახება. ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეთა უმრავლესობა (64%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ტელევიზიით დეზინფორმაციას გაცნობია, თუმ-

ცა თუ კონკრეტულად რომელი მაუწყებელი ავრცელებს დეზინფორმაციას, ეს მაჩვენებელი უკვე იმის მიხედვით იცვლება, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას უჭერს მოქალაქე მხარს. მაგალითად ქართული ოცნების მხარდამჭერების 37%-ს მიაჩნია, რომ ტელეკომპანია “იმედი” (ქართულ ოცნებასთან ასოცირებული ტელევიზია) არასდროს ავრცელებს დეზინფორმაციას მაშინ, როდესაც ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა მხოლოდ 4% პასუხობს მსგავსად. კითხვაზე გაცნობია თუ არა დეზინფორმაციას ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ზე (ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული ტელევიზია), ერთიანი ნაციონალური მოძ-

<sup>23</sup> იგივე


<sup>24</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. საზოგადოებრივი აზრის კვლევა 2014-2018. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/>

რაობის მხარდამჭერი მოქალაქეების 40% პასუხობს “არასდროს”.<sup>25</sup>  
და ქართული ოცნების მხარდამჭერების 6%

ტელევიზიების დეზინფორმაციის აღქმა (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი 2018)<sup>26</sup>

## Perceived disinformation on TV

For each of the following TV stations, please tell me, how often, if at all, do you think, they spread disinformation? (q74 X Party closest to you)



### დასკვნა

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ინარჩუნებს მრავალფეროვან მედია ლანდშაფტს.<sup>27</sup> მაღალრეიტინგული, პოლიტიკურად აფილირებული ნაციონალური მაუწყებლების პარალელურად მუშაობს რამდენიმე შედარებით დაბალრეიტინგიანი ტელეკომპანიაც, იზრდება ონლაინ მედიასაშუალებების რიცხვი, მუშაობენ გამოძიებელ ჟურნალისტთა გუნდები და

შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ მათ საქმიანობას საზოგადოებრივ აზრზე გავლენა არ აქვს. თუმცა ქართული მედიისთვის დღეს მთავარი გამოწვევა არა ბევრი განსხვავებული კონცეფციის მედია კოლექტივის არსებობაა, არამედ, ისეთი მედია აპლატფორმების არსებობა, რომლებიც, ერთი მხრივ, საზოგადოების ფართო სპექტრის ნდობას დაიმსახურებენ, ხოლო მეორე მხრივ სათანადოდ წარმოაჩენენ კონკრეტ-

<sup>25</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. (2018). საზოგადოებრივის აზრის კვლევა საქართველოში. ხელმისაწვდომია: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_Issues%20Poll%20Presentation\\_December%202018\\_English\\_Final.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Issues%20Poll%20Presentation_December%202018_English_Final.pdf)

<sup>26</sup> იგივე.

<sup>27</sup> Freedom House. (2018). Freedom in the World 2018- Georgia. ხელმისაწვდომია: <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2018/georgia>

ულ საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნებას, შექმნიან სივრცეს განსხვავებული სოციალური თუ პოლიტიკური ჯგუფების კონსტრუქციული, არგუმენტებზე დაფუძნებული დიალოგისთვის და ამ გზით შეასრულებენ საზოგადოების მთავარ დაკვეთას.<sup>28</sup>

2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა მედიის და საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაციის ორი ძირითადი პოლიტიკური პოლუსით – ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ორივე პოლიტიკური ძალის მთავარი იარაღი ოპონენტის წინააღმდეგ მომხრეთა შემოკრება იყო და არცერთი პოლიტიკური ძალა არ ერიდებოდა ამ ბრძოლაში მათ ხელთ არსებული მედია რესურსის აგრესიულ გამოყენებას.

მედია საზოგადოების პოლარიზაციის მნიშვნელოვანი წყაროა.<sup>29</sup> მოსახლეობის აზრის კვლევა აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი აზრი პარტიულ-პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვითაა დაყოფილი, რაც ამცირებს კონსტრუქციული პოლიტიკური დებატების შესაძლებლობას და საფრთხის ქვეშ აყენებს დემოკრატიას. მედია რომ ადვილად იქცევა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, ეს მარტივად ახსნადია. დემოკრატიის ხანმოკლე გამოცდილების ქვეყნებში მედიას, როგორც ბიზნესს, დამოუკიდებელი ფი-

ნანსური არსებობის ტრადიცია და გამოცდილება ნაკლებად აქვს. თუ გადავხედავთ დღეისთვის ქართული ძლიერი სატელევიზიო მედიების ისტორიას ვნახავთ, რომ ეს მედიები სხვადასხვა დროს გამოხატულად ემსახურებოდნენ განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების მქონე ჯგუფებს ან სულაც პოლიტიკურ ბრძოლაში იარაღად გამოყენების მიზნით იყვნენ შექმნილი. მოქალაქეების ნდობა და დამოკიდებულებაც რეიტინგული ტელე-მედიების მიმართ ამ სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია, ბუნებრივია, არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. მეტიც, სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით სწორედ ტრადიციული ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში დგას.<sup>30</sup> თუმცა, დაბალი სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნებში პოლიტიკური ფრაგმენტაციის შედეგები შეიძლება გადაულახავ პრობლემად იქცეს და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დემოკრატიებს შეუქცევადი ზიანი მიაყენოს. მაშინ, როცა მედია პლურალიზმი დემოკრატიის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, მედიის პოლარიზაციამ, ხანგრძლივად იგნორირების შემთხვევაში, შესაძლოა პოლიტიკურ ნიადაგზე საზოგადოებრივი ჯგუფების ექსტრემალურ დაპირისპირებას მისცეს ბიძგი.

<sup>28</sup> Kovach, B. and Rosenstiel, T. (2014). *The Elements of Journalism: What Newspeople Should Know and the Public Should Expect*, New York, United States, Three Rivers Press

<sup>29</sup> Martin, J. G. and Yurukoglu, A. (2017). Bias in Cable News: Persuasion and Polarization. *Economic Review*, 107(9), 2565-2599

<sup>30</sup> McCoy, J, Rahman, T and Somer, T. (2018). Polarization and the Global Crisis of Democracy: Common Patterns, Dynamics, and Pernicious Consequences for Democratic Polities. *American Behavioral Scientist*, 62(1), 16-42.



## რეკომენდაციები

### პოლიტიკური აქტორებისთვის:

- ხელისუფლებამ გაითვალისწინოს მედიის საკითხებზე ქვეყანაში მომუშავე არასამთავრობო თუ კვლევითი ორგანიზაციების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და მედიის სფეროს დონორების რეკომენდაციები მედიის, რეკლამისა და მომიჯნავე საკითხებზე საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებისას; ამ საკითხებზე არსებული საკანონმდებლო ჩარჩოში შესაძლო ცვლილებების განხილვა წარმართოს საჯარო დისკუსიების ფორმატში დამოუკიდებელ ექსპერტთა და საერთაშორისო საექსპერტო წრეების ჩართულობით;
- სასამართლოს რეფორმის პროცესში გაითვალისწინონ სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო შეფასებები და რეკომენდაციები, რამდენადაც ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა პირდაპირი წინაპირობაა მედია გარემოს გაჯანსაღებისა და გამოხატვის თავისუფლების სტანდარტის გაუმჯობესებისთვის;
- პოლიტიკურმა ლიდერებმა შეწყვიტონ განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციების მქონე ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებებისგან მტრის ხატის შექმნა; განსაკუთრებით მიუღებელია საჯარო მოხელეებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან კონკრეტული მედიასაშუალებების მიმართ მტრული და მუქარის შემცველი განცხადებები;
- შეწყდეს პოლიტიკური აქტორების და, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, სხვადასხვა მედიასაშუალებებისთვის ბოიკოტის რეჟიმის გამოცხადება პოლიტიკურად აქტიური პროცესების პარალელურად.

### მედიის, პროფესიული ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის:

- ჟურნალისტებმა შეამცირონ ერთი მხრივ სუბიექტური და მეორე მხრივ სიძულვილის ენის გამოყენება პარტიული კანდიდატების მიმართ. დაბალანსებული და სუბიექტური შეფასების გარეშე გადმოცემული ახალი ამბები გაზრდის მოსახლეობის ნდობას, როგორც კონკრეტული ტელევიზიის, ასევე ზოგადად ჟურნალისტიკის მიმართ;
- მედიასაშუალებებმა იმუშაონ თვითრეგულირების სტანდარტის გაუმჯობესებაზე, უფრო აქტიურად ჩაერთონ პროფესიულ დისკუსიებში მედიის თვითრეგულირების მექანიზმების უკეთ გამოყენების შესახებ მათი სანდოობის ზრდის მიზნით;
- არასამთავრობო სექტორმა მედიასთან პარტნიორობისას წაახალისოს ისეთი პროექტები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მედიაში პოლიტიკური პლურალიზმის ასახვას და მედიის მიერ საჯარო ფორუმის ფუნქციის შესრულებას. გაძლიერდეს მუშაობა ჟურნალისტებთან, რათა მოხდეს ისეთი სტრატეგიებისა და პრაქტიკების განვითარება და გავრცელება,

რაც განსხვავებული შეხედულებების დაბალანსებულ პრეზენტაციას გაამარტივებს; ასევე ორგანიზება გაენიოს საინფორმაციო კამპანიებს სიძულვილის ენის გამოყენებისა და ეთიკის კოდექსის დარღვევის შესახებ.

○ პროფესიულმა ორგანიზაციებმა და მედიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მეტი დრო დაუთმონ პოლიტიკური პოლარიზაციის მედიის სივრცეში გადანაცვლების ტენდენციის კვლევას.

### საერთაშორისო დონორებისთვის:

○ მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის და სადამკვირვებლო მისიების მიერ მომზადებულ ანგარიშებს მედიაპოლარიზაციისა და მედიის პრობლემების შესახებ; ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების მიერ მედიის პოლარიზაციის წახალისება მათთან აფილირებულ მედიებში გახდეს ნეგატიური პირობითობის ნაწილი. პირობითობის პრინციპი გამოყენებულ იქნას ასევე მედიასაშუალებებთან მიმართებაში. პარტნიორობის მიზნით

მედიასაშუალებების შერჩევას (ფინანსური დახმარება, ერთობლივი პროექტები, სარეკლამო დაკვეთა) იხელმძღვანელონ ჟურნალისტური ეთიკის უნივერსალური პრინციპებისა და პროფესიული სტანდარტის მიხედვით;

○ შენარჩუნდეს და გაძლიერდეს პროფესიული მედიამონიტორინგი, რათა პერსპექტივაში შესაძლებელი იყოს მედიის პროფესიული დინამიკის ანალიზი.

ISBN 978-9941-480-31-7



9 789941 480317